

ISSN 2233-3606

საქართველოს პიზიციური მაცნეობებისა და კულტურის
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

სამთამორისო რაზირირებაზე და რაცენზირებაზე
სამაცნეორო-პრაქტიკული ჟურნალი



ერამე
XXIII
MOAMBE

INTERNATIONAL PRECISE AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2016 TBILISI

„მოამბე” გამოდის 1995 წლიდან
„MOAMBE” IS PUBLISHED SINCE 1995

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე. სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: უურნალის ერთი გვერდი 6 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადგებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო უურნალის ღირებულება 5 ლარი.

ელ.ფოსტა moambe95@mail.ru; temur.babunashvili@mail.ru;
ტელეფონები: 231 14 75; 231 18 50; 593 239 958
ვებ-გვერდი: www.sbma.ge

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languages too.

The price of article's publication is one page of Journal 6 Gel (lari). And author will pay this price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari).

E-mail: moambe95@mail.ru; temur.babunashvili@mail.ru;
Tel: 231 14 75; 231 18 50; 593 239 958
www.sbma.ge

საქართველოს პიზივესის გეცინირებათა აკადემია დაფუძდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრირია ში

გაატარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982


THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

გამომცემლობა „მერიდიანი”
თბილისი, ალ ყაზბეგის გამზირი №47
„MERIDIANI” publishing house

Tbilisi, al. Kazbegi ave. 47
E-mail:info@meridianipub.com

საქართველოს მთის ტყების დაცვისა და გამოყოფისა და ათვისების პროგლობის და გათი გადაწყვეტის გზები

**ლევან გვაზავა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**



მთავორიან პირობებში ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში ერთ-ერთი ურთულესი სტადიაა ტყეების გამოყოფისა და ათვისების სამუშაოთა წარმოება. [1]

ტყეები არის სამეურნეო ტყის ის ფართობი, რომელიც გამიჯვულია ტერიტორიულად და განსაზღვრულია ასათვისებლად. ტყეების გამოყოფა, არსებული ჭრის წესების მიხედვით, მთავარი სარგებლობისათვის ხდება ათვისების დაწყებამდე ორი წლით ადრე, ხოლო მოვლითი და სანიტარული ჭრებისათვის — ერთი წლით ადრე. ამ ვადებში აუცილებელია, ტყეების გამოყოფა არსებული წესის მიხედვით მომზადდეს ასათვისებლად. [3] აქ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იგულისხმება ხე-ტყის საზიდი პირველადი და მაგისტრალური გზების მშენებლობა და ძველი გზების საექსპლუატაციოდ მომზადებაშეკეთება. აქვე, მხედველობაშია მისალები, ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით გათვალისწინებული, ზედა დასატვირთი ბაქნების მოწყობა. აუცილებელია, აგრეთვე, ხე-ტყის დამამზადებელი მანქანა-იარაღებით აღჭურვა და მათი მუშა მდგომარეობაში მოყვანა, საწვავ-საპონი მასალებისა და სხვა დამხმარე მასალების მომზადება, კომპლექსური ბრიგადების დაკომპლექტება და სხვა შესაძლო, გაუთვალისწინებელი პრობლემების მოგვარება.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები კონკრეტულ პირობებში, კონკრეტულ მიდგომასა და გადაწყვეტას მოითხოვს. [3][4][6] ეს პირველ რიგში, ტყეების გზების მშენებლობას ეხება, რომლის დროსაც არა მარტო საძიებო-საპროექტო სამუშაოებია ჩასატარებელი, არამედ გასათვალისწინებელია აგრეთვე ტყეების მდგომარეობა, კერძოდ, მოსატრელი მარაგების ოდენობა და გაფანტულობა. ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით ყოველწლიურად ხორციელდება 3 ათასამდე ტყეების გამოყოფა. ცხადია, ასეთ პირობებში, საერთო მასშტაბით მაღალხარისხიანი გზების მშენებლობა თითქმის შეუძლებელია, მით უმეტეს, როცა არსებული წესის მიხედვით, ეს ტყეები ათვისებული უნდა იქნეს მთავარი სარგებლობის დროს ორი წლის პერიოდში, ხოლო მოვლითი და სანიტარული ჭრების დროს ერთ წელიწადში, მაშინ, როდესაც პროექტის მომზადებას და დამტკიცებას ერთი წელიწადი მაინც სჭირდება, მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის კი, ცხადია, დარჩენილი ერთი წელი საკმარისი არ არის, მით უმტკიცებას ერთი წელიწადი დამთავრებისთანავე მისი ექსპლუატაცია დაუშვებელია, რადგან მას ჭირდება ე.ნ. „და-

ჯდომა“, სულ ცოტა, ერთი წელი მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხე-ტყის საზიდი მძიმე მანქანების მოძრაობის დროს სავალ გზაზე გაჩენილ ღარებში დგება წყალი, იწყება გზის ჩარეცხვა და გზა, შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ხდება. [2]

ამდენად, ზემოთ მოტანილი მასალიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტყეების გამოყოფისა და ათვისების ვადები შესაცვლელია. ეს ვადები დადგენილია რუსეთის პირობებისათვის და მეცნიერად არის ჩვენთან გადმოტანილი. რუსეთში ძირითადად ვაკე პირობებია და გზების მშენებლობა დიდ პრობლემებთან არ არის დაკავშირებული. მიგვაჩინა, რომ საქართველოს პირობებში, ტყეების ათვისების ვადები დადგენილ უნდა იქნეს ტყეების ათვისების სირთულის მიხედვით და ამისთვის გამოყოფილი უნდა იქნას საჭირო, აუცილებელი თანხები.

ტყეების არსებული მდგომარეობა უდავოდ აყენებს საკითხს ტყის წრის წესების გადახედვის შესახებ. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მთიან პირობებში ყველაზე ეფექტურად არის მიჩნეული ე.ნ. კომპლექსური ჭრები, რაც გულისხმობს, ერთდროულად, სამეურნეო ერთეულზე როგორც მთავარი, ისე მოვლითი ჭრების ჩატარებას, რომელსაც საფუძვლად დაედება ერთის მხრივ, ბუნებრივი განახლების ხელის შეწყობა, ხოლო მეორე მხრივ ტყეების პროდუქტიულობის ამაღლება.

ყოველივე ამასთან ერთად მეურნეობის წარმოების გონივრული მართვა შეუძლებელი იქნება ტყის რესურსების ათვისების პრობლემებისა და დამზადებული მერქნის რაციონალურად გამოყენების გარეშე. ხაზგასასმელია, რომ დღემდე ამ პრობლემების გადაწყვეტაზე არავინ ზრუნავდა, ხოლო დღეს, როცა ხე-ტყის დამზადება დაუბრუნდა სატყეო სააგენტოს, ცხადია, ალნიშნული პრობლემების გადაწყვეტა პირველი რიგის ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული, რამაც ასახვა უნდა ჰქოვოს ტყეების ინვენტარიზაციის პროექტებში ცალკეული უბნებისა და ცალკეული ტყეების მიხედვით. ტყეების ათვისების დროს, მთიან პირობებში სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით ხის ჭრისა და დამორვის დროს, რაც, უდავოდ, მოითხოვს შესაბამის რეაგირებას. მთიან პირობებში, ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ტყეების განმენდა და აღდგენა, თუმცა არც თუ იშვიათად, ამ პრობლემებსაც არ ექცევა სათანადო ყურადღება, თანხების დაზოგვის გამო, რაც ცხადია, დაუშვებელია

და ბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სატყეო სააგენტოსათვის ხე-ტყის დამზადების უფლების

მიცემა წინასწარ მოსამზადებელი ტექნიკურ-ტე-
ქნოლოგიური, ფინანსური და პროფესიული საკადრო
უზრუნველყოფის გარეშე, შექმნილი პრობლემების

გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება.

რეზიუმე

სტატიაში ავტორი ეხება საქართველოს მთის ტყეებში ტყეკაფების გამოყიფისა და ათვისების თანამე-
დროვე პრობლემებს და აღნიშნავს, რომ მთიანი რელიეფის პირობებში, განსკუთრებით პრობლემურია ხე-ტყ-
ის საზიდი როგორც პირველადი, ისე მაგისტრალური საავტომობილო გზების მშენებლობა, რაზედაც უშუა-
ლოდ არის დამოკიდებული ტყეკაფების ათვისების ეფექტურობა. ავტორი აღნიშნავს, რომ გზების მშენე-
ბლობის ხარისხზე გავლენას ახდენს ტყეკაფების გამოყოფის დადგენილი ვადები — მთავარი სარგებლობისა
ორი წელი, მოვლითი და სანიტარული ჭრებისა — ერთი წელი. ავტორს მიაჩნია, რომ ეს ვადები არის გადმოტა-
ნილია რუსეთის პირობებისათვის დადგენილი ვადების მიხედვით, სადაც ვაკე პირობებია. ავტორი აღნიშნავს,
რომ მთიან პირობებში ტყეკაფების გამოყოფის ვადების დადგენა უნდა მოხდეს მათი ათვისების სიძლელეების
გათვალისწინებით.

სტატიაში ავტორი ეხება აგრეთვე მორთრევის მეთოდებსა და სქემებს, იძლევა მორთრევისა და ტე-
ქნოლოგიური სქემების ვარიანტებს.

REZUME

The problems of allocation and utilization of the felling of the mountain forests of Georgia and their solutions

გოგებე, MOAMBIE

The article refers to the current problems of allocation and utilization of the felling of the mountain forests of Georgia and notes that within the terrain conditions, especially problematic is the construction of both primary and main roads for pulling the timber, on which directly depends the efficiency of utilization of forest felling. The author points out that the quality of road construction affects the defined terms for felling allocation – two years for basic use, and one year for care and sanitary logging. The author believes that these dates are copied from the conditions established in accordance with the terms for Russia, where there is not mountain but flat conditions. The author points out that the terms for felling forests should be determined taking into account their difficulties of utilization in mountain conditions.

The article deals with the methods and schemes of timber pulling, and provides the options for timber pulling and technological schemes.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ლ. გვაზავა — ტყეკაფითი სამუშაოების ეკოლოგიური საფუძვლები. თბილისი, 1992წ.;
- 2.ლ. გვაზავა — ტყის ტრანსპორტი. თბილისი, 1992წ.;
- 3.ლ. გვაზავა, თ. გვაზავა — ტყეთსარგებლობისა და კვლავნარმოების თანამედროვე პრობლემები. თბილისი, 2009წ.;
- 4.ლ. გვაზავა — ტყეთსარგებლობისა და კვლავნარმოების თანამედროვე პრობლემები (პასუხი მეტყევეთა საზოგადოებისა და სამთო მეტყევეობის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებული სხდომის წევრების შენიშვნებზე). თბილისი, 2007 წ.;
- 5.ლ. გვაზავა — ეკოლოგიური პრობლემების გასაღები ტყეების ეფექტურად მოვლა-პატრონბასა და გონივრულად გამოყენებაშია. თბილისი, 2014 წ.;
- 6.ლ. გვაზავა, მ. ტევზაძე — ხე-ტყის დამზადების, ტრანსპორტირების და ქვედა საწყობის სამუშაოთა სრულყოფის გზები. თბილისი 2015 წ., გვ 113;
7. თ. კანდელაკი — საქართველოს სატყეო სექტორის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება და განვითარების ტენდენციები. ჟ-ნ „სატყეო მოამბე“, 2015 წ. 9

საქართველოს პარლიმენტის რესურსების შეფასება

ირაკლი მიქაძე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



ნარმოება და ბიზნესი რომ არ ვითარდება საქართველოში სათანადოდ, ამის ერთ-ერთი მიზეზი, ნედლეულის დეფიციტია. უმეტესწილი საწარმოები მარაგდებოდა ცენტრალიზებულად, ამის გამო, საქართველოს ეკონომიკა სრულად იყო დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ნედლეულის ცენტრალიზებულად განაწილების შეწყვეტის გამო, მირითადმა სამრეწველო საწარმოებმა შეწყვიტა ფუნქციონირება. პირველ რიგში ეს დაეტყო იმ საწარმოებს, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ ენერგეტიკაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა, იმ ადგილობრივი რესურსების გამოყენება, რომელიც გააჩნია საქართველოს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბეს“ გამოცემებში, გამოქვეყნებულ იქნა სამეცნიერო სტატიები: საქართველოს ნავთობის, გაზისა და მინისქვეშა წყლების რესურსების და მათი მოპოვებისა და ათვისების შესაძლებლობების შესახებ. ამჯერად განვიხილავთ, ქვანახშირისა და მურა ნახშირის საბადოებს, რესურსებსა და იმ შესაძლებლობებს, რომელიც ამ მიმართულებით გააჩნია საქართველოს. ჩვენი აზრით, რესურსების რაციონალური ათვისება ნარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ ინტენსიურად განვითარდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი დარღვები.

ქვანახშირი ნარმოადგენს დანალექ, მყარ, საწვავ სასარგებლო წიალისეულს, რომელიც შედგება ორგანული ნივთიერებებისაგან (მცენარეთა ნაშთებისაგან, რომლებიც გარდაქმნილი არიან პლანქტონური მიკროორგანიზმების საშუალებით), მინერალური მინარევებისაგან და ტენისაგან.

დედამიწის ქრექში ქვანახშირი გვხვდება ფენბრივი და ლინზებრივი ბუდობების სახით და აქვს მასიური, შრეებრივი ან მარცვლოვანი ტექსტურა. ქვანახშირი გვხვდება ყავისფერი, მუქი ყავისფერი და შავი. ორგანული ნივთიერებების ნარმოშობის მიხედვით იყოფა 3 ჯგუფად: ა) ჰუმილითებად, რომლებიც წარმოიშვება ძირითადად, ჭაობში, ტბაში, თხელი ზღვის ყურესა ან ლაგუნაში დალექილი უმაღლესი მცენარეების ნაშთებისაგან; ბ) საპროცედიტებად — ტბებსა და ლაგუნებში დალექილი, უდაბლესი მცენარეებისა და პლანქტონური მიკროორგანიზმების გარდაქმნის შედეგად და გ) საპროცედულითებად, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ სახესხვაობას და შეფეხბა როგორც უმაღლესი, ასევე უდაბლესი მცენარეების გარდაქმნილი ნაშთებისაგან [1].

ქვანახშირის წარმოშობის საწყის სტადიაში მცენარეთა ნაშთები გარდაიქმნება ტორფად, რომლის განამარხების შემდეგ შედარებით დაბალი ტემპერატურისა და წნევის პირობებში - მურა ნახშირად, ხოლო მურა ნახშირი, მაღალი ტემპერატურისა და წნევის სანერგენის შემდეგის შედეგად - ქვანახშირად, ეს უკანასკნელი კი ანტრაციტად. ამ სტადიებზე თანდათან იზრდება ნახშირადის შეფარდებითი შემცველობა, რასაც თან სდევს ნახშირის თბოუნარიანობის ზრდაც. ქვანახშირი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ენერგეტიკულ ნედლეულს. იგი პირველ რიგში გამოი-

ყენება მეტალურგიაში, ქიმიურ მრეწველობასა და ენერგეტიკაში.

საქართველოში ცნობილია სამრეწველო მნიშვნელობის სამი საბადო [2]:

1. ტყიბულის ქვანახშირის საბადო და მისი გაგრძელება შაორის ნახშირშემცველი მოედანი. საბადოს ტერიტორია დასერილია ღრმა, კანიონი-სებური ხევებით, რის გამოც, ნახშირშემცველი ნალექები შიშვლდება დღის ზედაპირზე, სხვადასხვა აბსალუტურ სიმაღლეებზე.

ტყიბულის აუზი წარმოადგენს ქვაბულს, რომელიც აგებულია იურული ასაკის ნალექებით - ბაიოსის პორფირიტული წყების ფურცლოვანი ფიქლებით, ბათური ასაკის ნახშირშემცველი და ზედაიურული თიხური წყებებით, რომელზეც ტრანსგრესიულადაა დალექილი ქვედა ცარცული ასაკის ქანები. ნახშირშემცველი წყებების ჭრილში დადგენილია 12 შრე, რომელთა სიმძლავრე მერყეობს 8 მეტრიდან 20-30 მეტრამდე.

ტყიბულ-შაორის საბადო გენეტიკურად განეკუთვნება ჰუმუსურ ტიპს, ტენილოგიური თვისებებით - სუსტად კოქსვადს. გვხვდება შემდეგი ტიპის ნახშირები: კლანერული, დოურენული, ფურცლოვანი და ფისიანი ლიპტობიოლიტური, მათგან უმეტესად — კლანერული. სიმკვრივე - 1300-1750 კგ/კუბ.მ, ტენიანობა - 4,0-8,4%, ნაცრიანობა - საშუალო (34%), თბოუნარი - 6800-7800 კვალ/კგ. ქვანახშირი გაზის შემცველია, კარგად იკოქსება და ფართოდ გამოიყენება მეტალურგიაში.

ტყიბულ-შაორის საბადო აღმოჩენილია 1825 წელს, ათვისებაშია 1846 წლი-დან. 1951 წელს შაორის მოედანზე გამოვლენილ იქნა ქვანახშირის სამრეწველო მარაგები. 1984 წლისათვის აქ მოქმედებაში იყო 4 შახტა, რომელთა მწარმოებლობა შეადგენდა 1,26 მლნ ტონას წელიწადში.

ტყიბულ-შაორის საბადოს საბადოს საბალანსო მარაგები 1/1 1972 წლისათვის ლიპტო-ბიოლიტებისა და ნახშირიანი ფიქლების გაუთვალისწინებლად შეადგენდა 224,642 ათას ტონას +†+1 კატეგორიებით [3]. 1985 წლის 1 იანვარისათვის 700-1710 მეტრის ინტერვალისათვის მარაგები დამტკიცებულ იქნა 217,989 მლნ ტონა. 1 ტონა ნახშირის მიკოვების თვითღირებულება მერყეობდა 13 მანეტსა და 50 კაპიკიდან 39 მანეტსა და 5 კაპიკამდე, ხოლო გეგმით გათვალისწინებული იყო 14 მანეტისა და 9 კაპიკიდან 40 მანეტსა და 66 კაპიკამდე (1984 წ.).

ტყიბულ-შაორის საბადოს ნახშირი გამოიყენება კოქსებიმიურ მრეწველობაში და ენერგეტიკაში. ნახშირების ძირითადი ტიპების გარდა ტყიბულის საბადოზე გვხვდება გარდამავალი ტიპის ნახშირებიც, ჰუმუსური ნახშირიანი ფიქლების და ლიპტობიოლიტური ნახშირიანი თიხაფიქლები, ასევე გიშერიც.

საბადოს შესწავლაში სხვადასხვა დროს მონაწილეობას ღებულობდნენ გ. ქომეთიანი, დ. მშვენიერაძე, ს. ბრეგაძე, ს. ბუკია, გ. ლოლაძე, ფ. ფარცვანია, ა. ნიჩუგოვსკი, ი. ბაქრაძე და სხვ.

2. ტყვარჩელის ცხიმოვანი ქვანახშირის საბადო მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდინარეების ღალიძესა და მოქვას სათავეებში,

მოამბე, MOAMBE

ქ. ოჩამჩირედან 30 კმ მანძილზე.

საბადოს ფარგლებში უძველეს ნალექებს წარმოადგენს ბაიოსის პორფირიტული წყება. ბათური ასაკის ნახშირშემცველი წყება იყოფა 2 ჰორიზონტად - ქვედა, პროდუქტიულად (20-200 მეტრი) და ზედა, არაპროდუქტიულად (100 მეტრამდე), რომელიც ტრანსგრესულადაა გადაფარებული ზედაიურული თიხური წყებით. საბადო წარმოდგენილია 9 ნახშირიანი ფენით. გენეტიკურად განე-კუთვნება ჰუმუსურ ტიპს, ტექნოლოგიური თვისებებით – საკოქსეს. სიმკვრივე – 1300-1750 კგ/კუბ.მ, ტენიანობა – 1,5-3,0%, ნაცრიანობა – სამუალო, თბოუნარი – 7500-8400 კკალ/კგ.

საბადოს ტერიტორია ხასიათდება რთული ტექტონიკური აგებულებით. სამი მსხვილი განედური მიმართულების ნაოჭი გართულებულია მრავალრიცხოვანი ნასხლეტებითა და შეცოცებებით. ნახშირშემცველი შრები მდინარეების და მისი შენაკადების ეროზიის გამო, დანაწევრებულია 6 ნახშირის შემცველ მოედნად.

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს შესახებ პირველი მონაცემები ცნობილი გახდა 1881 წელს, ხოლო პირველი სამრეწველო მნიშვნელობის დაზვერვა ჩატარდა 1928 წელს ვ. მოკრინსკის მიერ. საბადოს ათვისება დაიწყო 1935 წელს. დღემდე ძირითადად დამუშავებულია მთავარი ნახშირშემცველი ფართობები (1,11 და 111). საბადოზე სამუშაოები წარმოებდა 4 შახტაში, რომელთა ჯამური მწარმოებლობა შეადგენდა 430 ათას ტონას წელიწადში. საბადოდან ქვანახშირი მიეწოდებოდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, ტყვარჩელის თესასა და სხვა საწარმოებს.

ტყვარჩელის საბადოს ბალანსური მარაგები გამოთვლილია 180-950 მეტრის ინტერვალისათვის, რომელიც 1985 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 19,787 მლნ ტონას. 1 ტონა ნახშირის მოპოვების თვითლიერებულება ტყვარჩელის საბადოზე შეადგენდა 33 მანეტსა და 6 კაპიკს, ხოლო გეგმით გათვალისწინებული იყო 34 მანეტი და 66 კაპიკი (1984 წ.).

ტყვარჩელის საბადოს შესწავლაში მონაწილეობას ღებულობდნენ ვ. ეფიმოვი, ბ. ტერეშჩენკო, ვ. ედილაშვილი, ი. ბაქრაძე, ს. ყანდაუროვა და სხვ.

3. ახალციხის მურა ნახშირის საბადო მდებარეობს ქ. ახალციხისაგან სამხრეთ-დასავლეთით 10 კმ-ზე, მდ. ფოცხოვის ხეობაში, ქ. ვალესა და სოფ. ნაოხრების მიდამოებში.

საბადოს ტერიტორია მიეკუთვნება ახალციხის დეპრესიას, რომელიც გართულებულია მრავალი მერიდი ნაფებითა და წყვეტილი რღვევებით. ნახშირი დაკავშირებულია ოლიგოცენის ასაკის ნალექებთან. ნახშირშემცველი წყება, რომელიც დალექილია შუა ოლიგოცენის თიხურ-ქვიშურ ნალექებზე, იყოფა: ქვედა ქვიშაქვებისა და ზედა ქვიშაქვების პროდუქტიულ წყებებად, რომელთა საერთო სიმძლავრეა 150-250 მეტრი. ახალციხის ნახშირი განეკუთვნება მურა ჰუმუსურ, ნაცარულება (35%), დაბალხარისხიან საწვავთა რიცხვს. ნახშირის სიმკვრივე ნაცრიანობასთან დაკავშირებით 1210-1750 კგ/მ.კუბ, სამუალო ტენიანობა – 12-13%, თბოუნარიანობა – 3200-4500 კკალ/კგ, ორგანული მასის შემადგენლობა: ნახშირბადი – 68-70%, უანგბადი – 24,5%, აზოტი – 1%, ამოღებიდან 1,5-2,0 თვის შემდეგ მოსალოდნელია თვითალება. ეს ნალექები გავრცელებულია 100 კვ.კმ ფართობზე.

ახალციხის მურა ნახშირის საბადოზე დაზვერვითი სამუშაოები დაიწყო 1931 წელს და მიმდინარეობდა 1959 წლამდე, ხოლო საბადო ექსპლუატაციაში იმყოფებოდა ერთი შახტა, რომლის მწარმოებლობა შეადგენდა 60

ათას ტონას წელიწადში. ამჟამად, საბადოს არახელ-საყრელი ტექნიკურ-ეკონომიკური პირობების გამო, მისი დამუშავება შეჩერებულია.

ახალციხის ნახშირის საბადოზე მარაგები გამოთვლილია 360-950 მეტრის ინტერვალისათვის და 1985 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 71,373 მლნ ტონას. 1 ტონა ნახშირის მოპოვების თვითლიერებულება 1 შახტაში შეადგენდა 36 მანეტსა და 13 კაპიკს, ხოლო გეგმით გათვალისწინებული იყო 35 მანეტი და 12 კაპიკი (1984 წ.), ე. ი. ახალციხის საბადოს ექსპლუატაცია ნამდებიანი იყო. ახალციხის მურა ნახშირის ძირითად მომზმარებელს წარმოადგენდა ტყვარჩელის საკუთრებული ქარხნის თბოელექტროცენტრალი.

გარდა ზემოთაღნერილი 3 მსხვილი საბადოსი, საქართველოში ცნობილია ბზიბის, მაგანა-ხორგაჭანისწყლის, ჭალის, სამხრეთ-კახეთის (ალანდარის-ხევის) და ფახულანის ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოები.

1. ბზიბის ნახშირის საბადო მდებარეობს მდბზიბის ხეობაში, ბზიბის რკინიგზის სადგურიდან 12 კმ-ზე. საბადოს დაზვერვა დაიწყო 1929 წელს და გრძელდებოდა 1948 წლამდე, ა. ნიჩუგოვსკისა და ვ. ბაჩალდინის ხელმძღვანელობით.

ამ საბადოს ფარგლებში, ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე დალექილია ბათის ასაკის ნახშირშემცველი წყება. იგი ლითოლოგიურად წარმოდგენილია პელიტოლითებით, ალევროლითებითა და ქვიშაქვებით, ხოლო წყების ქვედა ნანილი – თიხებითა და ალევროლითებით, რომელთანაც დაკავშირებულია ნახშირისა და ნახშირიანი ფიქლების შრეები. ნახშირშემცველი წყება გვცვდება კოჯერიფშისა და ჯირხვას უბნებზე, სადაც მისი სიმძლავრე ცვალებადობს 7-დან 25 მეტრამდე. ბზიბის ნახშირი კარგად იკოქსება, სამრეწველო მარაგები სამრეწველო კლასიფიკით მიეკუთვნება გ ჯგუფს.

ბზიბის ნახშირის საბადოს მარაგები +C1 და ც 45% კატეგორიით, 1974 წლის მონაცემებით შეფასებულია 429 ათას ტონად, ხოლო ც 45-60%-ით – 406 ათას ტონად. აქედან გამომდინარე, ბზიბის საბადო მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობისაა.

2. მაგანა-ხორგა-ჭანისწყლის ნახშირის საბადო მდებარეობს ნალენჯიხის რაიონში, ზუგდიდის რკინიგზის სადგურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 38 კმ-ზე. საბადოს დაზვერვა დაიწყო 1932 წელს. საბადოს გეოლოგიური ჭრილი იწყება ბაიოსის პორფირიტული წყებით, რომელზეც დალექილია ნახშირშემცველი წყება: მომნვანო-რუხი ფერის ქვიშაქვები და არგილიტები, რომლებიც შეიცავენ ნახშირისა და ნახშირიანი ფიქლების შრეებს. ნახშირშემცველი წყების სიმძლავრე იცვლება 20-დან 120 მეტრამდე, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე დაფიქსირებულია ცხავაშისა და ხუდონის უბნებზე. მაგანის საბადოს ხუდონის უბნის მარაგები შეადგენს 324 ათას ტონას + კატეგორიით. საბადოს აქვს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა.

3. ჭალის ნახშირგამოვლინება წარმოადგენს ქვანახშირის ლინზისმაგვარ ბუდობებს, რომელიც უხსოვარი დროიდანაა ცნობილი მდ. ყვირილას ხეობაში, საჩხერის რაიონში, საჩხერის სადგურიდან 12 კმ-ზე. ნახშირის გამოსავლები დაკავშირებულია ზედა ბაიოსის ქვიშურ-კონგლომერატის წყებასთან. დაზვერვის მონაცემებით, რომელიც მიმდინარეობდა ჭაბურღილების საშუალებით, მიღებულია უარყოფითი შედეგები.

4. სამხრეთ-კახეთის (ალანდარის-ხევის) ნახშირის საბადო მდებარეობს სიღნაღის რაიონში, ქ.

სიღნალიდან 40 კმ-ზე. ნახშირის შრეები დაკავშირებულია ზედასარმატულ ნალექებთან. ჩათმის უბანზე, ნახშირის შრის სიმძლავრე მერყყობს 0,1-დან 1,25 მეტრამდე. ნახშირის შრეების (c 45%-დე) და ნახშირის ფიქლების (c 45-60%) მარაგები შეადგენს: ნახშირისათვის - 318 ათას ტონას, ნახშირიანი ფიქლებისათვის - 93 ათას ტონას, აქედან გამომდინარე, საბადოს არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა.

5. ფახულანის ლიგნიტის საბადო აღმოჩენილი იქნა 1940 წელს ნალენჯიხის რაიონში, ქ. ზუგდიდიდის რკინიგზის სადგურიდან 25 კმ-ზე. ლიგნიტის შრეები დაკავშირებულია შუა სარმატის ნალექების ზედა ნაწილთან. საბადოზე შეინიშნება კონგლომერატების, ქვიშაქვების, თიხიანი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა, რომლებიც შეიცავენ ლიგნიტის 2 შრესა და რამდენიმე ლინზას. საბადოს პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია.

საქართველოს ნახშირის საბადოების ათვისების მდგომარეობა შემდეგია:

1) მოქმედი შახტები: 46,3 მლნ ტონა - A+B კატეგორიებით, 82,9 მლნ ტონა - A+B+C1 კატეგორიებით, 1,5 მლნ ტონა - C2 კატეგორიით; 2) მშენებარე შახტები: 27,9 მლნ ტონა - A+B კატეგორიებით, 40,4 მლნ ტონა - A+B+C1 კატეგორიებით; 3) საბადოს ის უბნები, სადაც მიმდინარეობდა დაზვერვითი სამუშაოები და რომლებიც მზადდებოდა შახტებისათვის: 70,6 მლნ ტონა - A+B კატეგორიებით, 170,8 მლნ ტონა - A+B+C1 კატეგორიებით, 0,7 მლნ ტონა - C2 კატეგორიით; 4) სხვა უბნები, რომლებიც მზადდებოდა შახტებისათვის: 47,6 მლნ ტონა - A+B კატეგორიით,

105,3 მლნ ტონა - A+B+C1 კატეგორიებით, 5,3 მლნ ტონა - C2 კატეგორიით.

სულ საქართველოს ქვანახშირის ჯამური მარაგები შეადგენს: 192,4 მლნ ტონას - A+B კატეგორიებით, 399,4 მლნ ტონას - A+B+C1 კატეგორიებით, 7,5 მლნ ტონას - C2 კატეგორიით.

1985 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში ექსპლუატაციაში იმყოფებოდა 9 შახტა, საიდანაც მოპოვებდნენ 1,75 მლნ ტონა ნახშირს ნელინადში, მათ შორის, კოქსვად ნახშირზე მუშაობდა 7 შახტა, საიდანაც მოიპოვებდნენ 1,39 მლნ ტონას ნელინადში. საქართველოს ნახშირების პროგნოზული რესურსები შეფასებული იქნა 1983 წლის 1 იანვრისათვის და შეადგენდა 587 მლნ ტონას (71 მლნ ტონა - 1 კატეგორიით, 43 მლნ ტონა - 2 კატეგორიით, 473 მლნ ტონა - 3 კატეგორიით) და აღემატებოდა დამტკიცებულ A+B+C1+C2 მარაგებს 1,4-ჯერ. კოქსვადი ნახშირების რესურსები შეფასებული იქნა 110 მლნ ტონად (52 მლნ ტონა - 1 კატეგორიით, 22 მლნ ტონა - 2 კატეგორიით, 36 მლნ ტონა - 3 კატეგორიით) და შეადგენდა საქართველოს ნახშირების საერთო რესურსების 19%-ს [1,3].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კავკასიის რეგიონში, საქართველოს გარნია ქვანახშირის სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები, რომელთა ათვისება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ენერგეტიკულ პოტენციალს. საწვავ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ათვისება და გამოყენება ნარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უპირველეს ამოცანას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Геология СССР. X том. Грузинская ССР. Полезные ископаемые. М., 1974.
2. ჯანელიძე თ. (მთ. რედაქტორი). კავკასიის სასარგებლონი ნიაღისეულის საბადოების გეოლოგია, ტექნოლოგიური შეფასება და პროგნოზი. მოსკოვი, „ნედრა“, 1991.
3. Уголь. IV том. Государственный баланс запасов полезных ископаемых СССР. М. 1985.

რეზიუმე

ნარმოება და ბიზნესი რომ არ ვითარდება საქართველოში, ამის ერთ-ერთი მიზეზი ნედლეულის დეფიციტია. ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა, ადგილობრივი რესურსების გამოყენება, რომელიც გააჩნია საქართველოს. მათ შორის აღსანიშნავია ქვანახშირის საბადოები, რომელთა რაციონალური ათვისება და გამოყენება ნარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უპირველეს ამოცანას.

RESUME

One of the reasons that industry and business isn't properly developed in Georgia is a shortage of raw materials. One of the foremost tasks of economic development is the employment of local resources which Georgia has, including coal deposits will significantly improve the country's power engineering potential. The national exploitation and employment of fuel and power resources is a primary task of our country's economic development.



ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ფორმირების თავისებურებანი

მაია დიაკონიძე

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო
პროგრამის დოქტორანტი**

ცნობილია, რომ მოთხოვნა არის გადახდისუნარიანი მოთხოვნილება, როდესაც დროის გარკვეულ მონაკვეთშიადამიანს შეუძლია გარკვეულ ფასად დაუფლოს მისთვის სასურველ საქონელსა თუ მომსახურებას. აქედან, არსებობს განსაზღვრული კავშირი საბაზო ფასასა და საქონელზე (მომსახურებაზე) მოთხოვნის მოცულობას შორის.

ტურისტული პროდუქტის მოთხოვნა-მინიდების განსაზღვრისას გამოიყენება ფუნქციონალური მიდგომა, რომლის თანახმად რეგიონში მოგზაურობის სურვილი (D) - ეს არის ფუნქცია, რომელიც გამოხატავს ადამიანების მიდრეკილებას მოგზაურობისადმი და (F) წინააღმდეგობას საწყის პუნქტსა და დანიშნულების ადგილს შორის D=F (მიდრეკილება, წინააღმდეგობა) [6. გვ. 1-1].

მიდრეკილება მოგზაურობისადმი შეიძლება დავახასიათოდ, როგორ ადამიანის დადებითი წინასწარგანწყობა მოგზაურობისა და ტურიზმისამი. ადამიანის მიდრეკილება მოგზაურობისადმი უკავშირდება ისეთი ფაქტორების, როგორებიცაა:

- ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- დემოგრაფიული (სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი) ფაქტორები.

ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება ადამიანის განწყობა და სურვილი მოგზაურობის მიმართ. საერთო ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება ასევე მოტივაცია, რომლის ჩამოყალიბებაზე გარკვეულ წილად გავლენას ახდენს ფასები ტურისტულ მომსახურებაზე.

დემოგრაფიულ ფაქტორებს მიეკუთვნება მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, მაგ: თუ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ჭარბობს შუახნის ასაკობრივი კატეგორია, ეს ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს გარკვეული სტაბილური შემოსავლების მქონე ადამიანებთან, რომელთაც შეუძლიათ თავის თავს მისცენ მოგზაურობის უფლება.

ადამიანის წინააღმდეგობა მოგზაურობისადმი დაკავშირდული აისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა:

- ეკონომიკურ დისტანციას;
- კულტურულ დისტანციას;
- მომსახურებაზე მაღალ ფასს;
- მომსახურების დაბალ ხარისხს;
- სეზონურ ეფექტს.

ეკონომიკური დისტანცია დაკავშირდულია ხარჯებთან, რომელიც საჭიროა მოგზაურობისათვის საწყისი პუნქტიდან დანიშნულების ადგილამდე და უკან დასაბრუნებლად. რაც უფრო დიდია ეკონომიკური დისტანცია მით უფრო დიდია წინააღმდეგობა (ადამიანის სურვილი, რომ დარჩეს სახლში) და შესაბამისად დაბალია მოთხოვნა. იგივე მიდგომა შესაძლებელია გამოვიყენოთ და საპირისპირო სურათს მივიღებთ. ანუ თუ შევამცირებთ დროისა და

ფინანსურ დანახახარჯებს მომსახურეობაზე, შესაბამისად მივიღებთ გაზრდილ მოთხოვნას აღნიშნული სერვისის მიმართ. მაგალითად თვითმფრინავების გამოწენამ მოგვცა საშუალება მცირე დროში დიდი მაძილების დაფარვისა, რამაც შესაბამისად შეამცირა ფასისადანასახარჯი ტრანსპორტიკურ ფრენებზე 50%-ით. 1959 წელს რეაქტიული თვითმფრინავების გამოწენამ მანძილის დაფარვის სიჩქარე დაახლოებით 2,5 გაზარდა, რაც პირდაპირპორციულად აისახა მოთხოვნის ზრდაზე [5. გვ. 1-1].

კულტურული დისტანცია უკავშირდება კულტურათაშორის განსხვავებას რეგიონებს შორის. საერთო ტენდენცია შემდეგნაირია: რაც მეტია განსხვავება კულტურული შეიძლება მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოხატავდეს საწინააღმდეგო სურათს მაგ: ბოლო პერიოდში იმატა მოთხოვნა და ინტერესმა ეგზოტიკური ქვეყნების მიმართ.

რაც შეეხება სეზონურ ეფექტს იგი დამოკიდებულია ტურისტული სახეობების სეზონურ გააქტიურებასთან. მაგალითისათად სათხილამურო კურორტს დამსვენებლების პიკი ექნება ზამთრის თვეებში და ა.შ.

ტურისტულ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას, მის სტრუქტურასა და დინამიკას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

- ტურისტული პროდუქტის მყიდველთა რაოდენობა;
- ტურისტული პროდუქტის მყიდველთა შემოსავლები;
- ტურისტული პროდუქტის მყიდველთა მოლოდინი ანუ შემოსავლების მიღების პერსპექტივის შეფასება მომავალში.

იმისათვის, რომ უფრო დეტალურად განვიხილოთ მოთხოვნის ფორმირება ტურიზმის ინდუსტრიაში, საჭიროა განვსაზღვროთ მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულება ტურისტულ ბაზარზე. მიწოდებატურისტულ ბაზარზე წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის მნარმოებლის იდეალური მზადყოფნას მომსახურების საწარმოებლად და მის წარმოსადგენად ტურისტულ ბაზარზე [7. გვ. 1-1].

ამასთან, ტურისტული პროდუქტის მიწოდება ტურისტული მომსახურების ბაზარზე განპირობებულია რამდენიმე ფაქტორის არსებობით, კერძოდ:

- ტურისტული პროდუქტის მიმწოდებელთა რაოდენობა (განთავსების საშუალებათა, კვების ობიექტების და გასართობი საშუალებების რიცხვი);
- ტურისტული ფირმების რაოდენობა;
- ტურისტული პროდუქტის წარმოების ეფექტურობის დონე;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი;

- **საგადასახადო სისტემა;**
- **ფასი წარმოების ფაქტორებზე ფასი;**
- **მოთხოვნის პერსპექტივისა და მომავალი შემოსავლების შეფასება.**

ტურისტულ ბაზარზე მიწოდების კომპონენტები შეიძლება დაყოს 4 ჯგუფად:

- **ბუნებრივი რესურსები;**
- **ინფრასტრუქტურა;**
- **ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც თავისთავში გულისხმობს, ტურიპერატორებს და ტურაგენტებს; განტავსების საშუალებებს, სავაჭრო და კვების ობიექტებს, სატრანსპორტო კომპანიები და სხვ.**
- **სტუმართმასპინძლობის კულტურული რესურსები.**

ყოველი ტურისტული რეგიონის ბუნებრივი რესურსები ეს არის გამოყენებადი, ყველა ტურისტისთვის მისაწვდომი რესურსი, რომლის საბაზისო ელემენტებია; ჰაერი და კლიმატი, ასევე ადგილობრივი განსაკუთრებული ტიპოგრაფია, ფლორა, ფაუნა, წყლის რესურსები, ზღვის სანაპიროები, ბუნების ძეგლები. ბუნებრივი რესურსების ხარისხი უნდა იყოს შენარჩუნებული და დაცული რადგან მასზე დიდწილად არის დამოკიდებული მოთხოვნა ტურისტულ მომსახურეობაზე.

ინფრასტრუქტურა თავისთავში გულისხმობს მიწისქვეშა და მიწისზედა მომსახურეობის სატრუქტურებს, ისეთებს, როგორებიცაა მიწისქვეშა გაყვანილობები და საკომუნიკაციაო საშუალებები, ასევე გზები, აეროპორტები, პარკირების საშუალებები, რკინიგზა და სხვა. ინფრასტრუქტურის არსებობას და მის განვიტარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვინაიდან ის წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ტურიზმის განვითარებისათვის.

ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის ორგანიზებული ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა, ვინაიდან იგი თავისთავში გულისხმობს ყველა იმ აუცილებელი პირობის და მომსახურეობის კომპლექსის მიწოდებას ტურისტებისთვის. მომსახურეობის კომპლექსში იგულისხმება განთავსება, კვება, ტრანსპორტირება, ექსკურსები. ეკონომიკურად ტურიზმის მატერიალურ ტექნიკური ბაზა წარმოადგენს ძირითად და საბრუნავ ფონდებს ტურისტული პროდუქტისწარმოების პროცესში.

სტუმართმასპინძლობის კულტურული რესურსები: იდეალურად განვითარებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის არსებობასაც კი ეკარგება აზრი ტურისტისთვის თუ იგი არ გრძნობს თავს სასურველ სტუმრად. სტუმართმასპინძლობის კულტურული რესურსების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კეთილმეობრული ურთიერთობის დამყარებას ტურისტებთან და მის პროპაგანდირებას ტურისტულ ზონებში ადგილობრივ მოსახლეობასთან ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რადგან კომპლექსში ჩამოთვლილ ფაქტორებთან ეს უკანასკნელიც გახლავთ ტურისტულ მომსახურეობაზე მოთხოვნის ფორმირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა [7. გვ. 1-1].

ეკონომიკური მაჩვენებლები ტურისტული ინდუსტრიის და კონკრეტულად ტურისტულ პროდუქციაზე

მოთხოვნის მიმართ იდენტურია ეკონომიკის სხვა დარგების ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფასების ზრდასთან ერთად მოთხოვნა მცირდება და პირიქით ვრცელდება ტურისტული მომსახურეობის მიმართაც.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სისტემური ხასიათისაა არსებითად დამოკიდებულია, როგორც ეკონომიკურ ასევე პოლიტიკური ფაქტორების გამოყენების ფორმაზე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თვისებურებზე. მისი როგორც ეკონომიკური სექტორის განვითარება დიდწილადაა დამოკიდებული შემდეგ ფაქტორებზე:

- ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა (ტურისტული პოტენციალი);
- ქვეყნის ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობა;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობა;
- ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა;
- ქვეყნის გამორჩეული ტრადიციები;
- ქვეყნის დამოკიდებულება ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას.

ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა (ტურისტული პოტენციალი)-თავისთავად გულისხმობს ქვეყნის ხელსაყრელ გეოგრაფიულ განლაგებას, იმას თუ რომელ გეოგრაფიულ სარტყელშია ქვეყანა, ხასიათდება თუ არა სეზონურობით, აქვს თუ არა განსავავებული რელიეფი, როგორია ფლორა ფაუნა და სხვა ფაქტორები, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განსაზღვრა და განვითარების პერსპექტივების განხილვა რასაც შესაბამისად მოყვება ტურიზმის როგორც დარგის განვითარება და მისი პოპულარიზაცია.

ქვეყნის ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობა-შესაბამისად გულისხმობს ქვეყნის შიგნით არსებული ისტორიული თუ კულტურული ძეგლების არსებობას, მათი სიძველის თუ გრანდიოზულობის შეფასებას, ასევე თანამედროვე კულტურული ნიმუშების არსებობას, რომელთა ნახვა და შეთავაზებაც საინტერესო იქნებოდა პოტენციური ტურისტებისათვის.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობა-მისი გათვალისწინება ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი იძლევა სრულ სურათს ქვეყნის განვითარებაზე. სახელმწიფოს სოციალურ ეკონომიკური ანალიზით შესაძლებელია განვსაზღვროთ ის თუ განვითარების რა ეტაპზე დგას ქვეყანა, როგორია სოციალური ფონი, როგორია ქვეყნის მნარმავებლურობა, ვინაიდან ამ უკანასკნელზე დიდ წილად არის დამოკიდებული ტურიზმის განვითარება.

ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა-უმნიშვნელოვანესია იმის განსაზღვრა თუ როგორია პოლიტიკური მდგომარეობა სახელმწიფო, არის თუ ავტონომიური რესპუბლიკები ან სადაც ტერიტორიები ვინაიდან პოლიტიკურ არასტაბილურობაზე ტურიზმი ყველაზე მეტად რეაგირებს.

ქვეყნის გამორჩეული ტრადიციები-ცალკე აღნიშვნის ღირსია ის განსხვავებული და უნიკალური ტრადიციები, რომლებიც ქვეყანას გააჩნია. რომელთა არსებობასაც ამ ქვეყნის ხალხისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მისი დაცვა სავალდებულოა

უკელასთვის. ასეთი ტრადიციების არსებობა საინტერესოა ტურიზმის განვითარებისათვის, ვინაიდან ერთის მხრივ შეიძლება ტრადიციებმა ჩარჩოში მოაქციოს ტურისტული ჯგუფების გადაადგილებები ხოლო მეორეს მხრივ ამით შეიძლება უფრო მიმზიდველი გახდეს ამ კონკრეტული ქვეყნის მონახულება.

ქვეყნის დამოკიდებულება ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას-დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მიერ გატარებულ სწორ პოლიტიკას ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად, ვინაიდან რაც არუნდა ხელსაყრელი გეოგრაფია და სოციალურებრომიკური გარემო იყოს ქვეყანაში თუ სახელმწიფო მზად არ არის გაატაროს რიგი ღონისძიებებისა რომლების მიმართული იქნება დარგის განვითარებისაკენ, ნებისმიერი სხვა რესურსის არსებობას უბრალოდ აზრი ეკარგება.

ტურიზმის განვითარების ისტორიული მიმოხილვისა და დღევანდელი მდგრამარეობის ანალიზისას, მკაფიოდ გამოიკვეთა ტურიზმის განვითარების დადებითი ტენდენცია, რაზეც მეტყველებს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მიხედვით 2014-2015 წლის პირველი დეკადის მონაცემები, სადაც 4% -იანი ზრდა ფიქსირდება. ნიშანდობლივია ტურისტული მომსახურეობის მიმართ ინტერესი და მოთხოვნა ალნიშნულ მომსახურეობაზე [2. გვ. 1-1]

ალსანიშნავი და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დარგი აქტიურად ვითარდება და შესაბამისად ინტერესიც დიდია. ტურიზმის, როგორც დარგის მიმართ მზარდი მოთხოვნის ფორმირების ანალიზისას ორიოდე სიტყვით უნდა აღინიშნოს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და მისი გავლენის შესახებ სამყაროს განვითარებაზე. აუცილებელია იმის გააზრება თუ რა მოთხოვნები აქვს თანამედროვე ადამიანს. დავიწყოთ იქედან, რომ ეტლითა და ნავით გადაადგილებიდან თვითმფრინავამდე ადამიანს სულ უფრო გაულრმავდა მისწრაფება იმისა, რომ რაც შეიძლება დიდი მანძილი დაიფაროს რაც შეიძლება მცირე დროში, თანამედროვე ადამიანმა ამას უკვე მიაღწია, ასევე მტრედების და საფოსტო გზავნილების ეპოქა შეცვალა ელექტრონულმა წერილებმა და მობილურმა კავშირგაბმულობამ, რამაც ინფორმაციის წუთებსა და წამებში გავრცელების საშუალება მოგვცა, ინტერნეტ სერვისი ეს არის გლობალური მოვლენა, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა, 2013 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის 2,5 მილიარდამდე ადამიანი იყენებს ამ სერვისს. გარდა ამ თვალსაჩინო და დიადი მოვლენებისა, არსებობს შედარებით მცირე ზეგავლენებისა, რომლებიც ასევე უმნიშვნელოვანებს როლს ასრულებენ თანამედროვე ადამიანის მოთხოვნის ფორმირებაზე. მნიშვნელოვანი აქცენტები იქნია ადამიანის ტურისტული მოთხოვნის ფორმირებაზე ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა მოდა, მუსიკა, თეატრი, სპორტი და სხვა. ვინაიდან თანამედროვე პირობებში შეიცვალა მიდგომები და მოთხოვნები თითოეული ამ მიმართულების მიმართ. რამაც რათქმაუნდა შეცვალა სურათი ტურიზმით დაინტერესებულთათვისაც ვინაიდან საჭირო გახდა ახალი ტურისტული პროგრამები, რომლებიც უფრო მძაფრი შეგრძნებების და შთაბეჭდილებების გამომუშავებაზე იქნებოდა ორიენტირებული [2. გვ. 1-5].

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია

ვთქვათ, რომ მოთხოვნას ტურისტულ პროდუქციაზე განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

- ქვეყნის მოსახლეობის ინტერესის ზრდა სხვა ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების წესის გაცნობის მიმართ;
- უკვე არსებული ტრადიციული მარშრუტების მიმართ ინტერესის კარგვა;
- კონკურენციის ზრდა;
- მოგზაურობისა და დასვენების პარმონიული შეთავსება, რომელსაც შეუძლია ყველაზე მომზოვნი და პრეტენზიული ტურისტების ინტერესების დაკმაყოფილება;
- ტექნოლოგიური რევოლუცია;
- ინოდების ეკონომიკიდან მოთხოვნის ეკონომიკაზე გადასვლა.

ინოვაციების დანერგვამ მოთხოვნა ტურისტულ მომსახურეობაზე კიდევ უფრო მზარდი გახადა. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის კვლევის თანახმად, ტურისტულმა გადაადგილებებმა მსოფლიო მასშტაბით საგრძნობლად იმატადა მატების ტემპი შეინიშნება ყოველწლიურად. მაგალითად თუ შევადარებთ 2014 წლის პირველი დეკადის მონაცემებს 2015 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან ვნახავთ, რომ 2015 წლისათვის რეგისტრირებული ტურისტული გადაადგილებების რიცხვმა 538 მილიონი შეადგინა. რაც წინა ნელთან შედარებით 4%-ით არის გაზრდილი. მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ კვლევების საფუძველზე შეიმუშავა პროგნოზი, რომელიც იმისათვის, რომ უფრო რეალისტური იყოს დიდწილად ეყრდნობა წარსული გამოცდილების შედეგებს, ვტო-ს პროგნოზები დაყოფილია ციკლებად და იგი ათ-ათ წლიან პერიოდს მოიცავს. ორგანიზაციამ კვლევები 1990 წლიდან დაიწყო და და დღეისათვის წარმოგვიდგენსპროგნოზს 2030 წლისათვის. მონაცემები ძალიან დამაიმედებელია მათვის ვინც ჩართულია ტურისტულ პიზნესში და მათვისაც ვინ აქტიურად იყენებს აღნიშნულ სერვისს. მონაცემების მიხედვით 2010-2030 წლებისათვის ტურისტული გადაადგილებების რაოდენობა საშუალოდ 3,3%-ით გაიზრდება. აბსოლუტურ ციფრობრივ შეფასებებში, შემოსავლები ტურისტული გადაადგილებებიდან 2010 წლისათვის საშუალოდ 43 მლნ შეადგენდა წლიურად, ხოლო ეს ციფრი 2020 წლისათვის სავარაუდოდ 1,4 მლრდ-მდე გაიზრდება, ხოლო 2030 წლისათვის იგი 1,8 მლრდ გახდება [2. გვ. 1-3]

მაშასადამე ტურიზმი არის დარგი, რომელშიც ჩართულია განვითარებული მსოფლიოს დიდი ნანილი, ესარის სერვისის ის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მოთხოვნების დაკმაყოფილებას მრავალი მიმართულებით, ესენია:

- დასვენება;
- გართობა;
- გაჯანსაღება;
- მატერიალურ-კულტურული ძეგლების მონახულება და სხვა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ტურიზმის განვითარება წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გავრცელების. აყალიბებს ღირებულებებს და ხელს უწყობს ქვეყნის ღირსშესანის-ნაობების და მიმზიდველი ტურისტული პროდუქციის

პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით. გარდა ამისა ტურიზმია ბოლო პერიოდში უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო, იგი ადამიანთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, ადამიანთა დიდი ნაწილი გადაადგილდება და მოგზაურობს სხვადასხვა მიზნებით, დასვენებისა თუ ბიზნეს ინტერესების გამო.

ტურიზმი, როგორც საქმიანობა, რომელიც ვრცელდება ქვეყნის კულტურულ და ბუნებრივ მემკვი-

დრეობაზე ასევე ტრადიციებსა და ქვეყნის თანამედროვე კულტურაზე ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ამრიგად ტურიზმი, როგორც დარგი გახლავთ რთული ინტერდისციპლინარული კომპლექსი, რომელიც მოითხოვს რთულ და სისტემურ მიდგომას ისეთი საკითხების მიმართ როგორიცაა მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარება როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Keller Peter Chairman of the OECD Tourism Committee „CONCLUSIONS OF THE CONFERENCE ON INNOVATION AND GROWTH IN TOURISM”2004
2. WorldTourizmOrganization „UNWTO“ www.unwto.org
3. Новиков В.С. „Инновации в туризме”2007-2008
4. Клейменов А.М., Сергеев Б.И. „Культура народов Причерноморья” - 2004. - №52, Т.2. - С.62-66., „Инновационные процессы в развитии туризма”
5. „Туристический Спрос и Предложение” <http://www.kmvline.ru/lib/turizm/45.php>
6. Маркетинг в гостеприимстве „ Туристский спрос, его особенности и прогнозирование” http://paradeofhotels.ru/studvesti/marketing/marketing_113.html
7. Н Кудла „Маркетинг туристических услуг - Особенности туристического спроса” http://uchebnikionline.com/turizm/marketing_turistichnih_poslug_-_kudla_nye/osoblivosti_turistichnogo_popitu.htm
8. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ” თავი მე-3 ზოგადი დებულებები http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/turizmi/turizmis_kanoni.pdf

რეზიუმე

ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ფორმირების ევოლუცია

ტურიზმი 21 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგებს მიეკუთვნება. მისი, როგორც ორგანიზებული სახით ჩამოყალიბება მე 19 საუკუნის 90 იანი წლებით თარიღდება თუმცა მისი განვითარების ტემპები იმდენად სწრაფია რომ დღეისათვის ტურიზმი აღიარებულია, როგორც მსოფლიო მოვლენა და ეკონომიკის ყველაზე პროგრესირებადი დარგი.

ინოვაციების დანერგვამ მოთხოვნა ტურისტულ მომსახურეობაზე კიდევ უფრო მზარდი გახადა, რამაც შედეგად მოგვცა ის, რომ მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის კვლევის თანახმად, ტურისტულმა გადაადგილებებმა მსოფლიო მასშტაბით საგრძნობლად იმატა, და მატების ტემპი შეინიშნება ყოველწლიურად. ას სილუტურ ციფრობრივ შეფასებებში, შემოსავლები ტურისტული გადაადგილებებიდან 2010 წლისთვის საშუალოდ 43 მლნ შეადგენდა წლიურად, ხოლო ეს ციფრი 2020 წლისათვის სავარაუდოდ 1,4 მლრდ-მდე გაიზრდება, ხოლო 2030 წლისთვის იგი 1,8 მლრდ გახდება.

ტურიზმი, როგორც საქმიანობა, რომელიც ვრცელდება ქვეყნის კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობაზე ასევე ტრადიციებსა და ქვეყნის თანამედროვე კულტურაზე ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ამრიგად ტურიზმი, როგორც დარგი გახლავთ რთული ინტერდისციპლინარული კომპლექსი, რომელიც მოითხოვს რთულ და სისტემურ მიდგომას ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

SUMMARY

THE FEATURES OF THE DEMAND FOR THE TOURIST PRODUCT

The modern tourism industry is one of the largest high-yield and the most dynamic sectors of the world economy. The main reasons for this is a permanent growing demand for travel and the relatively high level of profitability of the industry. There is a positive trend of growth of tourist movements in the world. Income from tourist traffic in 2010, an average of 43 million per year, while the results for 2020 is expected to increase to 1.4 billion. As well as in 2030 it will be 1.8 billion. Tourism as an activity that extends to the cultural and natural heritage, as well as traditional and modern culture promotes sustainable economic development of the country, so tourism as a complex set of inter-disciplinary, requiring an integrated and systematic approach.



ლარის კურსის ცვლილებაზე მოძრაობი ფაქტორები

გიორგი ფოფხაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სავალუტო კურსის თემა დღე-ცანდელი არსებული ვითარების გამო აქტუალობას არ კარგავს. ამ დროს უმნიშვნელოვანესია თითოეულ ქვეყანას როგორ აქვს დარეგულირებული მსოფლიო მეურნეობაში წარმოებითი ურთიერთობები, მისი ფუნქციონალური როლი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს საერთაშორისო ექვივალენტური გაცვლა. რაც საბოლოოდ სავალუტო ურთიერთობებს წარმოადგენს, რომელიც მყარდება სავალუტო ბაზარზე (ყოველდღიური კავშირებით), კერძოს პირებსა, ფირმებსა, ბანკებსა და სხვა სუბიექტებს შორის, საერთაშორისო ანგარიშსწორების, საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების განხორციელების მიზნით.

მე-20-ე საუკუნის ბოლოდროინდელ პერიოდში სავალუტო ურთიერთობებთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება იყო გამოთქმული მეცნიერ-ეკონომისტების მიერ თითქმის ის გაიგივებულია კაპიტალიზმის ფულად სისტემასთან, სადაც იდენტურია როგორც შიდა ეროვნული, ისე საერთაშორისო ფულადი ურთიერთობები და სხვა.

ბოლოდროინდელ პერიოდში ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომლის მიხედვითაც სავალუტო სისტემა გამოიყოფა დამოუკიდებელ კატეგორიად, ეს კი საფუძველს გვაძლევს განვასხვავოთ ერთმანეთისაგან „სავალუტო პოლიტიკა“, „სავალუტო სისტემა“ და „სავალუტო ურთიერთობა“.

სავალუტო პოლიტიკა - ეს არის იმ ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო ორგანიზაციები და სახელმწიფო-თაშორისო დაწესებულებები, მათ მიერ შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

სავალუტო ურთიერთობანი ეს არის ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფულის ფუნქციონირებასთან და ემსახურება ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სესხების გაცემას, ტურიზმს და სხვ.

სავალუტო სისტემა - მსოფლიოს მეურნეობის მიმდინარე საერთაშორისო საგადასახდელო-საანგარიშსწორები თპერაციების გამასასუალებელი საშუალებაა, როგორც ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ორგანული ნაწილი.

საქართველოში დღევანდელი მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ფონზე ლარის კურსი - ფრაზა, რომელსაც ყველა პროფესიის წარმომადგენელი ყველაზე ხშირად ახსენებს, უდავოდ აქტუალურია და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე. სწორედ დღეს, ყველაზე ხშირად, ლარის კურსის ცვლილებების მიზეზზე და პროგნოზზე საუბარი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სანამ სიღრმისეულად გავაკეთებთ ანალიზს, ერთ რამეზე ყველა თანხმდება, კერძოდ, ძირითადი მიზეზი ეს არის ქვეყანაში შედარებით მცირე დოლარის შემოდინება, ვიდრე ის ქვეყნიდან გადის. ხოლო საბოლოო კურსის განსაზღვრა ხდება საქართ-

ველოს ეროვნული ბანკის 2009 წლის 22 მაისის № 6 დადგენილების საფუძველზე, სადაც აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური კურსის გაანგარიშება ხდება ყოველ სამუშაო საბანკო დღეს, ნინა სამუშაო საბანკო დღის 16:30 საათიდან გაანგარიშების დღის 16:30 საათამდე პერიოდში, ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში რეგისტრირებული გარიგებების გათვალისწინებით, ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებების შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ბაზარი ძალიან მცირე მოცულობისა და ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ამინდს ქმნის 4-5 ბანკი, რომლის მიხედვითაც ბანკების გარიგებების მიხედვით გაანგარიშებული კურსი არის ერთგვარი განმსაზღვრელი მთელი დანარჩენი ეკონომიკისათვის, არადა, ყოველნლიურად სავალუტო ბაზარზე მნიშვნელოვნად მეტი სავალუტო გარიგებები დგება. სწორედ მთლიანი გარიგებების მოცულობით უნდა განისაზღვრებოდეს ლარის კურსი, სადაც თავისთავად გათვალისწინებული იქნება ეროვნული ბანკის ინტერვენციები. აქედან გამომდინარე, ლარის კურსის განმსაზღვრელი უნდა იყოს ბაზარი და ეკონომიკური ურთიერთობები და არამედ ბანკები, რაც უფრო მეტი გარიგების „შედეგი“ იქნება ლარის გაცვლითი კურსი (რომელიც უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა-მინოდებას უკავშირდება), მით უფრო ნაკლები იქნება სპეციალური ინსტიტუტი და ლარი დამოკიდებული იქნება მხოლოდ რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. და არა გარკვეულ მის მცირე ნაწილზე.

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა ბოლო 15 წლის მანძილზე არ შეცვლილა. მხედველობაში გვაქვს უცხოური ვალუტის მოზიდვა ექსპორტისა და სხვა წყაროების გაზრდის გზით. სავაჭრო ბალანსი რჩება კვლავ დეფიციტური. წლებია საქართველოს გააჩნია უარყოფითი საექსპორტო სალდო, ხოლო ინვესტიციების, სადეპოზიტო გზავნილების, ტურიზმის გრანტების და საერთაშორისო კრედიტებით მიღებული უცხოური ვალუტა, მხოლოდ და მხოლოდ აბათილებს ქვეყნიდან გადინებულ უცხოურ ვალუტას, ანუ რა მოცულობის უცხოური ვალუტა შემოდის იმდენივე გადის ან იმაზე მეტი, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ლარის კურსის მდგრადობაზე. ლარის კურსის გაუფასურებაზე. რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ზემოთაღნიშნულ საკითხთან არის დაკავშირებული, მაგრამ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით ლარის გაუფასურების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზზე შეიძლება ჩაითვალოს უცხოური ვალების გადახდა დიდი მოცულობით. რამაც საძირკველი გამოაცალა ლარის კურსის მდგრადობას. ისმის კითხვა, თუ როგორ შეიძლება ლარის კურსის გამყარება. აქ პასუხი ერთია მეტი დოლარი უნდა შემოვიდეს ქვეყანაში ვიდრე გადის. ეს კი შეიძლება განხორციელდეს ორ მიმართულებით: პირველი, ისევ მოზიდული იქნას საგარეო კრედიტები და მეორე ეროვნული ვალუტის გამყარება მოხდეს

ეკონომიკური გზით, რომელიც დღესდღეობით მიუღწევადია ჩვენი ქვეყნისათვის. ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე XX საუკუნის დასაწყისში ამბობდა: „ქვეყანა მაშინ იქნება დამოუკიდებელი და თავისუფალი, როდესაც გასაზიდი მეტი ექნება ვიდრე შემოსაზიდი“. აქ ყველაფერია ნათქვამი. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესების და ლარის კურსის გამყარების უალტერნატივო გზა სწორედ ეს არის (მოვიზიდოთ მეტი უცხოური ვალუტა ეკონომიკის ზრდის ხარჯზე) სხვა გზა ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელია.

ლარის კურსის გამყარების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნულ ბანკს. ეროვნულმა ბანკმა უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, მაგრამ ეს უნდა იყოს დროული და ეფექტური, ის, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია ერთხელ და საბოლოოდ გადაჭრას ლარის კურსის გაუთასურიბის პრობლემა. ეს მხოლოდ თანხმაზიდა

გარიგების საფუძველზე, საიდანაც გამოითვლება საშუალო შენონილი კურსი. გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენს „როიტერის“, „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნის ცენტრალური ბანკების ვებგვერდები. დღეისათვის, ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლარის გაცვლით კურსზე ინფორმაცია შედარებით ხელმისაწვდომი და საჯარო იყოს, რაც თავისთვად გამორიცხავდა დამატებით შეკითხვებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ლარის კურსის განსაზღვრა ეს არ მიეკუთვნება კომერციულ საიდუმლოს, ის არის ქვეყნისათვის მისი ეკონომიკური შემდგომი განვითარებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი და საიცოცხლო მნიშვნელობის მაჩვენებელი განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც იმპორტის მაჩვენებელს, რომელიც ძიებითან თოლარიბის გათინიბასთანაა,

გაანგარიშების ცხრილი

პ. დოლარი

№	მაჩვენებელი	საბაზისო მონაცემები	უცხოური ვალუტის შემოდინება ფაქტიურად	გადახრა საბაზისო მონაცემები (+/-)	ფაქტორები %-%		ფაქტორები ერთეულში		ფაქტორები თანხებში	
					შიდა	გარე	შიდა	გარე	შიდა	გარე
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	სადეპოზიტო გზავნილები	100,0	70	-30	-	100	-	1,0	-	30,0
2	ტურიზმიდან შემოსავლები	90,0	80	-10	50	50	0,5	0,5	5,0	5,0
3	ექსპორტი	400,0	350	-50	100	-	1,0	-	50,0	-
4	ინვესტიციები	300,0	250	-50	50	50	0,5	0,5	25,0	25,0
5	საერთაშორისო გრანტები	40,0	30	-10	50	50	0,5	0,5	5,0	5,0
6	საერთაშორისო კრედიტები	70,0	50	-20	50	50	0,5	0,5	10,0	10,0
		1000	830	170			3	3	95	75

შენიშვნა: 1000,0 ათ. დოლარის შემოდინება საბაზისო მონაცემებით, როდესაც კურსი იყო 1 აშშ = 1,70 ლარი

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ამ დროისათვის დაბეჭდილ ნებისმიერ ფულის ერთეულთან შედარებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მანეთი ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა. მისი კურსი რუსეთის „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებისა“ და ამიერკავკასიის ბონების პარიტეტული იყო, რის გამოც იგი თავისუფლად მიმოქცეოდა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის პოსტიმპერიულ ქვეყნებშიც. საქართველოს სახელმწიფო ბანკის საქმიანობის შედეგად დარეგულირდა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, შემუშავდა ფულის ახალი რეფორმის გატარების პროექტები და განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგომ დამოუკიდებლობის დაკარგვამ საქართველოს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა.

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკი“ ასრულებდა, რომელიც 1921 წლის ოქტომბერში რუსეთში დაარსებული სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ ფილიალს ნარმოადგენდა. მისი საქმიანობის სფერო მნიშვნელოვანად შეზღუდული იყო, ვინაიდან საყოველთაოდ მიღებული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ბანკების დამოუკიდებელი მოქმედების უნარს აფერხებდა და ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საგარეო ვაჭრობა და საგადახდო ბალანსი

XIX საუკუნის ორმოციანი წლებიდან მარცვლეულის ნარმოებაში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ყამირი და გამოუყენებელი მიწების ათვისებამ რუსეთიდან ხორბლის შემოტანა ზედმეტი გახადა და მოსახლეობის რიცხოვნების ზრდის მიუხედავად, საქართველო მარცვლეულის ექსპორტი

ქვეყანა გახდა. თბილისი ამიერკავკასიაში ხორბლის უმთავრეს ბაზრად გადაიქცა. 1880 წლიდან საქართველოდან მარცვლეულის ექსპორტმა რეგულარული ხასიათი მიიღო. 1881 – 82 წლებში თბილისელმა ფრანგმა ნეგოციანტმა საფრანგეთში გაიტანა ქართული ხორბლის პირველი მსხვილი პარტია (40 ათასი ფუთი). 1885 წელს ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებიდან გატანილი იქნა 642 ათ. ფუთი ხორბალი და 278 ათ. ფუთი ქერი.

მომდევნო წელს ხორბლის ექსპორტმა დასავლეთ ევროპაში (იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ინგლისი...), 5,8 მლნ ფუთს მიაღწია, 1887 წელს – 3.9 მლნ ფუთი და ა.შ. მაგრამ საქართველოში ხორბლის ექსპორტის ბუმიდიდებანსა არ გაგრძელებულა. ეს ძირითადად ორი მიზეზით აისხნებოდა: 1. სპეციალური და უფრო ძვირადღირებული ტექნიკურ კულტურაზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია მარცვლეულის სათესი ფართობის შემცირება; 2. დასავლეთ ევროპაში იაფი ამერიკული ხორბლის შეტანამ განაპირობა რუსული, მათ შორის ქართული ხორბლის კონკურენცუნარიანობის დაცემა და ხორბლის ექსპორტის გეოგრაფიული მიმართულების შეცვლა. ამ პროცესს ხელს უწყობდა მარცვლეულის ტრანსპორტირების (რკინიგზა, საზღვაო ტრანსპორტი) გაიაფება. სამაგიროდ საქართველოდან მნიშვნელოვნად გაიზარდა სიმინდის ექსპორტი. მაგალითად, 1886 წელს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან გატანილი 8.4 მლნ ფუთი მარცვლეულიდან 68.7% სიმინდი იყო (5.8 მლნ ფ). 1909-1913 წლებში კი მარცვლეულის ექსპორტი (5.3 მლნ ფ) სიმინდის ნილად 92% მოდიოდა. იგი ძირითადად საფრანგეთსა და ინგლისში გაიტანებოდა.

საქართველოდან სიმინდის ექსპორტის გაფართოებაზე ძალზე უარყოფითი როლი შეასრულა რუსეთის იმპერიიდან ყოველგვარი პურეულის ექსპორტის აკრძალვამ (1891 წ.). მართალია 1892 წელს ეს აკრძალვა მოიხსნა, მაგრამ დროის ამ შუალედში სიმინდის საგარეო ბაზრები უფრო იაფმა ამერიკულმა და ინდურმა სიმინდმა დაიკავა. რის გამოც 1894 წელს სიმინდის ფასი ორჯერ დაეცა. ამ მიზეზით 1899-1908 წლებში სიმინდის საშუალო წლიური ექსპორტი (3 მლნ. ფუთი) ორჯერ შემცირდა. 1909-13 წლებში მისი ექსპორტი 4.9 მლნ. ფუთამდე გაიზარდა, მაგრამ იმის გამო, რომ თვით საქართველოში გაიზარდა სიმინდზე მოთხოვნა (ძირითადად არაყის გამოხდისა და ცხოველთა საკვებად გამოყენების გამო) და პარალელურად მოხდა სიმინდის სათესი ფართობი შემცირება (სპეციალური ტექნიკური კულტურების გავრცელების წყალობით), რომელმაც აუცილებელი გახადა ჩრდილოეთ კავკასიიდან სიმინდის შემოტანა (1914 წ - 0.18 მლნ ფუთი, 1915 წ - 2.3 მლნ ფუთი).

1918 წლის ბოლო 7 თვეში დამოუკიდებელ საქართველოში იმპორტირებული იყო 140.9 მლნ მანეთის, ხოლო ექსპორტირებული – 153.0 მლნ მანეთის საქონელი, რომლის წყალობით საქართველოს სავაჭრო ბალანსი აქტიური გახდა. ეს აისხნება გერმანელთა (რომლებიც იმ დროს საქართველოში იმყოფებოდნენ) დიდი მოთხოვნით ნედლეულზე. ომის შემდგომ პერიოდში კი სავაჭრო ბალანსის მდგომარეობაგაუარესდა. 1919 წელს ექსპორტირებული იყო 383 მლნ მანეთის საქონელი, მაგრამ მასთან შედარებით იმპორტმა 3-ჯერ მეტი თანხა შეადგინა (962.8 მლნ. მან).

1920 წლის პირველი 11 თვის მონაცემებით, საგარეო სავაჭრო ბალანსი უმჯობესდება და იმპორტი (2 592.1 მლნ მან) მხოლოდ 1.95-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს (1 332.7 მლნ მან).

1919 წლის მონაცემებით საქართველოს ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყვნენ აზერბაიჯანი (396.5 მლნ მან), დასავლეთი ევროპა (396.5 მლნ მან), ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა, სამხრეთ რუსეთი (137.7 მლნ მან) და სომხეთი (32.1 მლნ. მან). აზერბაიჯანი ერთდროულად იყო საქართველოს უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანა (175.7 მლნ მან), შემდეგ მოდიოდა დასავლეთი ევროპა (92.5 მლნ მან), სომხეთი (85.4 მლნ მან), ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა და სამხრეთ რუსეთი (29.4 მლნ მან). ეს ციფრები ამავე დროს, მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოს აქტიური სავაჭრო ბალანსი ჰქონდა მხოლოდ სომხეთთან (+ 53.3 მლნ მან).

იმპორტიორებულ საქონელში ჭარბობდა კვების პროდუქტები (321.7 მლნ მანეთი ანუ მთლიანი იმპორტის 33.4%). მეორე ადგილი ეკავა სხვადასხვა სახის ბენზეულის ექსპორტს – 174.5 მლნ მანეთი (18.1%). ქიმიური პროდუქციის წილად მოდიოდა ექსპორტის 7.8% (75.3 მლნ მან), სათბობი მასალის ღირებულება შეადგენდა 44.1 მლნ მანეთს (4.6%), დანარჩენი პროდუქციის ღირებულება 347.2 მლნ მანეთი (36.1%) იყო.

საქართველოდან ექსპორტიორებულ პროდუქციაში ასევე პირველი ადგილი ეკავა კვების პროდუქტებს – 110.2 მლნ მანეთი ანუ მთლიანი ექსპორტის 28.8%. მეორე ადგილზე იყო თამბაქო და მისი ნაწარმი – 72.6 მლნ მანეთი (18.9%), ავეჯსა და საყოფაცხოვრებო საგნების წილად მიღიოდა მთლიანი ექსპორტის 17.5% (65.8 მლნ მან), სპირტის წილად 8% (30.6 მლნ მან), დანარჩენი საქონლის ღირებულება 101.1 მლნ მანეთს 26.4%) შეადგენდა.

საგარეო ვაჭობის მოცულობა და მისი სტრუქტურა 1919 წლის მდგომარეობით მთლიანად ვერ ასახავდა საექსპორტო შესაძლებლობას. მაგალითად,

მასში საერთოდ არ ფიგურირებდა მანგანუმი, რომელიც ქვეყნის უპირველესი საექსპორტო ნედლეული იყო. 1919 წელს უცხოეთში ექსპორტიორებული იყო მხოლოდ 42.6 ათასი ტონა მანგანუმი. მაგრამ მას შემდეგ რაც ბათუმი და ბათუმის ოლქი კვლავ შეუერთდა საქართველოს (1920 წ.), გაიზარდა მანგანუმის ექსპორტიც (183.6 ათასი ტონა).

საგარეო ვაჭობის ბალანსის დიდი პასივი და სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი უარყოფით გავლენას ახდენდა ქართული ბონის კურსზე და აჩქარებდა ინფლაციის პროცესს. ამ მხრივ, საქართველო არაფრით გამოირჩეოდა სხვა სახელმწიფოებისაგან, მაგრამ მათგან განსხვავებით, ფულის კურსის დაცემა საქართველოში მაინც ნაკლები იყო, ქვეყნის საგადასახადო ბალანსის უკეთესი მდგომარეობის წყალობით. ეს აიხსნებოდა რამოდენიმე მიზეზით, რომელთა შორის უმთავრესი იყო:

1. საქართველოს საუკეთესო სატრანზიტო მდებარეობა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ფაქტობრივად აღდგა ე.წ. დიდი აბრეშუმის გზა. საქართველო თავისი რკინიგზის ტრანსპორტით აღმოჩნდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი ჭიშკარი, რომელიც მის სავალუტო შემოსავალს ადიდებდა და შესაბამისად ამსუბუქებდა სავაჭრო ბალანსის სიმძიმეს.

2. საქართველოს არ გააჩნდა სავაჭრო ფლოტი (რუსეთმა მიისაკუთრა-ჯ.კ.), მაგრამ მისი საზღვაო პორტები ფუნქციონირებდნენ და საქართველოსაც სავალუტო შემოსავალს აძლევდნენ.

3. თბილისში, როგორც კავკასიის ცენტრში, თავს იყრიდნენ ტურისტები, საქმიანი ადმიანები, უცხოელი წარმომადგენლები, რომელთა ხარჯი საქართველოსთვის სავალუტო შემოსავალი იყო.

ყველა ჩამოთვლილი მიზეზი ამტკიცებდა საქართველოს ბონის კურსს და ამცირებდა სავაჭრო ბალანსის უარყოფით სალდოს.



ამინისტრაციასის ქვეყნისა და ირანის ურთიერთობა V საუკუნის II ნახევარში

თამარ ჯავახიშვილი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს
ინჟინერინგის ფაკულტეტის საჯარო მმართველობის სპეციალობის
დოქტორანტი**

V საუკუნე მნიშვნელოვანი ეპოქაა კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ეს არის ეპოქა ნაციონალური ომებისა ირანისა და კავკასიის ქვეყნებს შორის. ირანის იმპერია ამ ხანში შემოტევას აწარმოებდა კავკასიაზე. ამ უსწორო და მნიშვნელოვან ეპიზოდებით აღსავსე ბრძოლაში პირველად დაეცა სომხეთი. V საუკუნის პირველ ნახევრში ირანელებმა მოსპეს მეფობა სომხეთის და სომხეთის ინკორპორაცია მოახდინეს. ამ დროიდან შემოტევა ირანისა საქართველოზე ძლიერდება.

V საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნების (ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის) ურთიერთობის ისტორიაში. ამ დროიდან ირანმა დაიწყო ახალი, მეტად აქტიური და აგრესიული პოლიტიკის გატარება აღნიშნული ქვეყნების მიმართ. ამჯერად ირანელთა მიზანი იყო სავსებით მოესპორ ის შინაგანი დამოუკიდებლობა, რომელიც შერჩენოდა მათ ქვეშევრდომ ამიერკავკასიის ქვეყნებს და გადაექციათ ისინი ირანის რიგით პროვინციებად. ამ მიზნის მისაღწევად ირანელებმა გადაწყვიტეს ამ ქვეყნების იზოლაცია არაირანული სამყაროსაგან, მათი კულტურის მოსპობა და მოსახლეობის სრული ასიმილაცია. ირანელებს კარგად ჰქონდათ მოფიქრებული სამოქმედო გეგმა, რომელსაც დიდი თანმიმდევრობითა და შეუპოვრობით ახორციელებდნენ. ამ გეგმის განხორციელება მათ რამდენიმე ეტაპად დაიწყეს. თავდაპირველად შემოიღეს მეტად მიმიტ სამხედრო ბეგარა, რომელსაც მოჰყვა ახალი საგადასახადო სისტემა. შემდეგ ირანელები აპირებდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებში ყოველგვარი შინაგანი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას და ქრისტიანული რელიგიის მაზდეანურით შეცვლას.

თავისი მიზნების მისაღწევად ირანელები მოხერხებულად იყენებდნენ არსებულ ვითარებას და პყრობილ ქვეყნებში. ამ პერიოდში ქართლსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს გააფთრებულ ბრძოლას ცენტრალურ ხელისუფლებასა (მეფესა) და ცენტრიდანულ ძალებს (ფეოდალებს) შორის. ფეოდალთა მიზანი იყო მემკვიდრეობით დაემტკიცებინათ ეს მინები და თანამდებობები, რომლებიც მათ ეჭირათ. ამასთან, ისინი ცდილობდნენ მაქსიმალურად შეეზღუდათ მეფის უფლებები მათ ხელქვეით არსებულ მინებზე. მეფე კი იმისათვის იბრძოდა, რომ თავისი გამგებლობიდან არ გაეშვა ეს მინები, სრული ძალუფლება შეენარჩუნებინა მთელი სამეფოს მინა-წყალზე და ყოველ თანამდებობაზე დანიშვნის მხოლოდ მისი სურვილით მომხდარიყო. ირანელები იყენებდნენ ამ წინააღმდეგობებს და ფეოდალებს პირდებოდნენ მათთვის სასურველი პრივილეგიების

დამტკიცებას. რა თქმა უნდა, ირანელთა მხარეზე მთელი ფეოდალური კლასი არ გადასულა. ირანელებს არ შეეძლოთ პრივილეგიები მიენიჭებინათ ყველასათვის. ფეოდალთა ნაწილი თავისი ინტერესებით მაინც დაკავშირებული იყო ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ნაწილს კი ესმოდა, რომ ირანელებთან კავშირი დამლუპველი იქნებოდა ქვეყნისათვის და საბოლოო ანგარიშში, თვით ამ კავშირის მომხრეებისათვისაც. მაგრამ ირანელები მაინც ახერხებდნენ არეულობის შეტანას ქვეყნის დამცველთა რიგებში.

იეზდიგერდ I - ის დროს სპარსეთში პირველად დაინტერის ქრისტიანობის დევნა. რაკი სპარსეთის თავზარდაცემული ქრისტიანები ბიზანტიაში იხიზნებოდნენ და იქ შაპის მოხელეებს და მოგვებს ემალებოდნენ, ამიტომ სპარსეთის მთავრობამ შეუთვალა კეისარს, ჩვენი ქვეშევრდომი ქრისტიანები თავიანთ ქვეყანაში გამორეეორ. კეისარმა ამაზე ცივი უარი შემოუთვალა და ქრისტიანები არ გასცა. ამის გამო სპარსელებმა ომი გამოუცხადეს, რომელიც იეზდიგერდის სიკვდილის შემდეგაც არ შეწყვეტილა.

მაგრამ ამ ბრძოლაში ბიზანტიელებმა გაიმარჯვეს და სპარსელების ლაშქარი დაამარცხეს ისე, რომ ისინი იძულებული იყვნენ კიდეც 421 წელს ომი შეეწყვიტათ და მშვიდობიანობა ჩამოეგდოთ. ამავე დროს სპარსეთში ქრისტიანობის თავისუფლება ისევ აღდგენილ იქნა. როცა იეზდიგერდ II (439-457) ტახტზე ავიდა, მან კავკასიას და ქრისტიანობას ისევ ყურადღება მიაჟცია. სპარსეთის გავლენასა და ბატონობას სომხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა უშლიდა ხელს და ამ ორსავე ქვეყნის გული და სული ბიზანტიისაკენ იყო. ამის გამო სპარსეთის მთავრობა სულ იმის საგონებელში იყო, რომ ქართველთა, სომხეთა და ალბანელთათვის სარწმუნოება შეეცვალა. წინათ, როცა ამ სამსავე ხალხში ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო გავრცელებული, სპარსეთთან მათ სარწმუნოებრივი კავშირი ჰქონდათ და ეხლაც სპარსეთის შაპის და მთავრობა მონადინებული იყო, რომ კავკასიაში როგორმე მაზდეანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გაეხადა.

ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის საყრდენი - სომხეთი დიდი ხანი იყო ირანს მოსვენებას უკარგავდა. მთავარი საშიშროება ის იყო, რომ სომხეთს კავშირი არ დაემყარებინა ბიზანტიასთან, ამიტომაც სპარსელები მუდამ ამჟღავნებდნენ იმის სურვილს, რომ დიდებულთა რელიგია ზოროასტრიზმი ყოფილი იყო.

სასანიანთა მთავრობამ სომხეთში წერილი გაგზნა, რომელშიც დიდებულებსა და სასულიერო წოდებას შესთავაზა უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე. თუკი ირანი სომხეთს დაიძყრობდა, ძნელი აღარ იქნებოდა საქართველოსა და ალბანეთის დამორჩილება, მაგრამ

სომეხმა დიდებულებმა და სასულიერო პირებმა უარით უპასუხეს, რისთვისაც რეპრესირებულნი იქნენ. ზოგიერთმა მათგანმა გარეგნულად, ვითომ მიიღო ზოროასტრიზმი. ომით დაკავებულმა იეზიდიგერდმა მათ მამულები დაუპრუნა, რამდენიმე მძევალი დაიტოვა და სომხეთში ზოროასტრიზმის ქურუმები გაგზავნა.

ისარგებლეს რა იმით, რომ ირანი მმში იყო ჩაბმული, ნახარარებმა დასახმარებლად ბიზანტიას მიმართეს და აჯანყდნენ, მაგრამ იმპერიას არ ქონდა საშუალება დახმარებოდა სომხებს. პირველ ბრძოლაში ბედის სასწორი სომეხთა მხარეზე გადაიხარა, მათ ტყვედ ჩაიგდეს მარზბანი ვასაკი. ვასაკი წარმოშობით სუნიკიდან იყო, მას ებარა მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა - სპარსეთის ნაცვალის პოსტი სომხეთში; როდესაც მან ზოროასტრიზმი მიიღო, იგი გაორებულ, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხოლო როცა ტყვედ ჩავარდა, კვლავ ქრისტიანთა მხარეზე გადავიდა. იეზიდიგერდმა 451 წელს გაგზავნა თავისი ჯარი სომხეთში და დაამარცხა ნახარარები. სასამართლომ ყველაფერი ვასაკს დააბრალა და შაჰის ბრძანებით ციხეში ჩასვა, სადაც მალე გარდაიცვალა. სომხეთში კვლავ იგზავნებოდნენ მარზბანები ირანიდან, მაგრამ სრული მორჩილება სომხებს არ გამოუხატავთ, მათ მაინც შეინარჩუნეს ქრისტიანობის ქადაგების უფლება.

იეზიდიგერდ II - ის სიკვდილის შემდეგ (457) დაიწყო ბრძოლა მის ვაჟებს შორის. მეორე ვაჟმა, პერზიმა, შეკრიბა მოკავშირე ჯარები აღმოსავლეთით, გაიმარჯვა და 459 წელს შაჰი-შაჰი ეკურთხა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ პერზს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ზოროასტრი ქურუმებისა და ფეოდალური არისტოკრატიისაგან.

პერზის მეფობის პირველ წლებში ირანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც გამოწვეული იყო ორწლიანი შინა იმით, გვალვითა და მოუსავლიანობით, ამავე დროს ირანს გარეშე მტერიც ბევრი ჰყავდა, თავდასხმის პუნქტს წარმოადგენდა ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. ომი ამ საზღვარზე პერზის მეფობის განმავლობაში არ შეჩერებულა.

ამ დროს ქართლის სამეფო ტახტზე ზის ვახტანგ გორგასალი, გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. უნდა ითქვას, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ მეტად არასაკმარისი ცნობები გვაქვს. მნირი და ცალმხრივი ცნობებია „მოქცევა ქართლისაი“ - ს მატიიანეში. საკმარისია ითქვას, რომ არც ერთი სიტყვით არ არის მოხსენიებული ის დიდი ბრძოლა, რომელიც ვახტანგ გორგასალმა ანარმოა ირანელთა წინააღმდეგ. არსებობს ვახტანგ გორგასალისადმი მიძღვნილი სპეციალური საისტორიო თხზულება, რომელსაც ჯუანშერს აკუთვნებენ.

ჯუანშერის მოღვაწეობის დროზე და მისი ავტორობის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული ურთიერთსანიაღმდეგო შეხედულებების მიუხედავად, დღესაც ჯუანშერი XI ს. ავტორადაა გამოცხადებული, ხოლო მის თხზულებად ითვლება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რომელშიც თხრობა ვახტანგის მშობლების აღწერით იწყება და VIII ს. შუახანებში მცხოვრები არჩილის მოღვაწეობით მთავრდება.

მკვლევარები ვახტანგ გორგასალის „ცხოვრების“, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ მსჯელობი-

სას ძირითადად ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებიდან გამომდინარე თვლიან, რომ XI საუკუნეში მცხოვრებ ჯუანშერს გარდა იმისა, რომ ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანიდან დიდი დრო აშორებდა, იგი როცა „თხზულებასა წერდა სანდო მასალა ხელთ არ ჰქონდა“, რის გამოც ეს თხზულება „ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას“. მთელს თხზულებაში ივ. ჯავახიშვილს „ლირებულად“ ირანელებთან ვახტანგ გორგასლის ბოლო ომის აღწერა მიაჩნდა. ჯუანშერის თხზულებაში ივ. ჯავახიშვილის მიერ „ლირებულად“ მიჩნეული „ზოგიერთი მცირეოდენი ცნობა“ შემდგომი თაობის მკვლევართა ნაშრომებში მართალია შედარებით გამდიდრდა, მაგრამ ეს თხზულება, ისევ ზღაპრული ხასიათის საისტორიო წყაროდ ითვლება. დღეისათვის ხელთ გვაქვს ვ. გოილაძის ნაშრომი, რომელშიც ძველი ქართული და უცხოენოვანი წყაროების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტორი, ჯუანშერი, თვით ვახტანგ გორგასლის თანამედროვე და მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილვი უნდა ყოფილიყო. ჯუანშერის ცნობების სხვა საისტორიო წყაროებთან შეჯერების საფუძველზე დადგენილია ვახტანგ გორგასლის და მისი ოჯახის წევრთა ცხოვრების წლები, გარკვეულია ჰუნებისა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ (ირანელებთან ერთად) ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის მარშრუტი, დადასტურებულია დღემდე ანაქრონიზმად ან არაეალურად მიჩნეული ზოგიერთი ცნობის სანდოობა. ავტორის დასკვნით, ჯუანშერის თხზულება სანდო საისტორიო წყაროა არა მატო V საუკუნის ქართლის სამეფოს, არამედ მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვისაც.

თავისითავად მეტად მნიშვნელოვანი წყაროა ამ პერიოდის შესასწავლად იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობა“, მაგრამ ქვეყნის ზოგადპოლიტიკურ ვითარებაზე მასში ცოტა რამაა ნათქვამი. საყურადღებო და, რაც მთავარია, სავსებით სანდო ცნობები აქვს შემონახული V საუკუნის სომეს ისტორიულს ლაზარ პარფეციის, ისინი ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებას შეეხებიან.

ვახტანგის მეფობა დაემთხვა ქართლის ისტორიის მეტად მძიმე ხანას. 450-451 წლების სომხეთისა და აღმანეთის აჯანყების შემდეგ ირანელები ზოგიერთ დათმობაზე წავიდნენ, მაგრამ მათ საქმაოდ მალე დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები ამიერკავკასიაში და ისევ დაინტეს ქრისტიანობის დევნა და ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება. 15 მეტად აქტიურად დაიწყეს ირანელებმა დამორჩილებული ქვეყნების შინაგან საქმებში ჩარევაც.

ვახტანგის მეფობა დაემთხვა ქართლის ისტორიის მეტად მძიმე ხანას. 450-451 წლების სომხეთისა და აღმანეთის აჯანყების შემდეგი ზოგიერთ დათმობაზე წავიდნენ, მაგრამ მათ საქმაოდ მალე დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები ამიერკავკასიაში და ისევ დაინტეს ქრისტიანობის დევნა და ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება. 15 მეტად აქტიურად დაიწყეს ირანელებმა დამორჩილებული ქვეყნების შინაგან საქმებში ჩარევაც.

ვახტანგ გორგასალი როცა ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაში იმყოფებოდა, 455 წელს მისი მეუღლე, ირანის შაჰის ასული ბალენდუხტ დედოფალი დაჩისა და მისი ტყუპისცალი დის მშობიარობას გადაჰყვა. ამიტომ, 456 წელს ომის დამთავრებისას ბიზანტიის იმპერატორთან მოლაპარაკებისას ვახტანგი დათანხმდა იმპერატორს, რომ მის ქალიშვილს შეირთო.

ბოდა, ქართლში კვლავ ალედგინა თავისი პოზიციები. საქმე რომ ასე წარიმართებოდა, ეს ვახტანგმაც კარგად იცოდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ გამარჯვებით დამთავრებულ ომში იგი ირანის მხარეზე იბრძოდა, ქართლში დაბრუნებისთანავე ირანის შაპის მოსალოდნელი თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვის სამზადისას შეუდგა.

456 წელს ვახტანგის ქართლში დაბრუნებისთანავე ირანელები ქართლში არ შემოჭრილან. როგორც ჯუანშერი გვამცნობს, გაიგო თუ არა „...მეფემან სპარსთამან... ვითარმედ მიიქცა ვახტანგ ბერძენთა კერძო, შეიქცა სპარსეთად და მოკუდა. და დაჯდა მეფედ ძე მისი, და ვიდრე მოიწიფებოდა იგი, წარხდა ამას შინა წელიწადი სამი.“

გარდა სამხდრო სამზადისისა, მშვიდობიანობის სამ წელში ვახტანგს სხვა ანტირანული ღონისძიებანიც განუხორციელებია, კერძოდ „შეაგდო საპურობილესა შინა ბინქარან მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა.“

ყოველივე ზემოაღნიშნული უკვე ირანის წინააღმდეგ ქართლის მეფის ავანენებას ნიშნავდა. ბიზანტიელთა მხარეზე ვახტანგის გადასვლით განაწყენებული შაპი შეიქცა სპარსეთად“, ე.ი ირანში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების გამო ირანელთა ქართლში ლაშქრობა სამი წლით გადაიდო. 459 წელს ტახტზე ასულმა პეროზმა გაამყარა თუ არა თავისი მდგომარეობა ირანში „წარმოემართა ბრძოლად ვახტანგისა.“

მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერი დეტალურად აგვინერს 460 წელს ქართლში შემოჭრილ ირანელთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლისა და ზავის დადების ამბავს, დღემდე ამ ომის არც თარიღი და არც ბრძოლების ჯუანშერისეული აღწერა ქართული ისტორიოგრაფიაში შესწავლის საგანი არ გამხდარა.

ირანელთა ქართლში მოსალოდნელი შემოჭრის ამბავი ვახტანგ გორგასალს ბიზანტიის იმპერატორისათვის ადრევე შეუტყობინებია: აპა დღე იგი, რომელ აღმითქუამს, ვითარმედ სპარსი შემოვაწყუდივნე ხელსა შენსა; აპა ესერა, მომიყვანებიან იგინი შუა საზღვართა ქართლისათა და ყოველი კაცი მათ თანა ვითარ სამასი ათასი.“ როგორც ვახტანგის წერილის შემდეგი შინაარსიდან ჩანს, სომხები და ამიერკავასის სხვა ქრისტიანი ხალხები ირანელთა დასახმარებლად არ გამოსულან, შაპს მხოლოდ დარუბანდელები მიმხრობიან. იმავე წერილში ვახტანგი იმპერატორს ატყობინებდა: „ან აღმისრულებიეს აღთქმა ჩემი, რომელი აღმითქუამს: რამეთუ სადაცა მიპოვნიეს სახლი ცეცხლისა, დამივსია ფსლითა, და მოვუნი და მზირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტსა, და მაცთური ბინქარან მივეც საპყრობილესა, და სიკუდილისაგან გარდაიხუენა.“

ვახტანგის მოციქული როცა იმპერიაში ჩავიდა, აღმოჩნდა, რომ იმპერატორი „წასული იყო ქუეყანით ხაზარეთით კერძო“ და ქართლში მოსასვლელად „ვერ მოიცალებდა“. ვახტანგს ისლა დარჩენოდა, შემოსულ მტერს მხოლოდ ქართლის ლაშქრით შებმოდა. ამ მიზნით „განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი, და ურჩეულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მხედარი და ასი ათასი ქუეთი იპყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე, და

სპარსთა დაიბანაკეს ცხენის ტერფითგან ჩაღმართ.“

ბრძოლის დაწყების წინ, როგორც ჯუანშერი გადმოვცემს, ვახტანგმა „...განაფართა ხიდი მოგუეთისა ვითარ სამოცი მხარი ქცევისათვს მას ზედა სპათასა“. თვით ვახტანგი და ჯუანშერ სპასპეტი მცხეთაში გამარჯვებულან. ნასრა და მირდატ ერისთავები „არმაზით კერძო“ „სპათა ზედა სომხითისა და ქართლისათა“ იდგნენ. ბრძოლის მიმდინარეობას ჯუანშერი ასე გადმოვცემს: „...რა ბრძოდიან სპარსი არმაზით კერძო, მცხეთით განვიდიან; და რა განვიდის ლაშქარი იგი მიერ კერძო მცხეთით, ეწყნიან არაგუსა ზედა. და ოდესმე განვლიან ფონისა ზედა ტფილისისასა, და რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე დღესა ამათ.“ ჯუანშერის ცნობით, სწორედ ამ ბრძოლაში ჰქონდა ვახტანგ მეფეს „ოქროს ჩაბალაზე“ გამოსახული „წინათ მგელი და უკანათ ლომი“. სადაც „იძლეოდიან ქართველი“ ვახტანგიც იქ გაჩნდებოდა ხოლმე და „მოსრიდა ... სპარსთა“. სპარსელებმა დაისწავლეს, რომ მხედარი, რომელსაც ჩაბალაზე „ენერა მგელი და ლომი“, ვახტანგი იყო. ამიტომ, ვახტანგის გამოჩენისათანავე იყვირებდნენ ხოლმე „დურ აზ გორგასალ“. ეს სიტყვა,, დასძენს ჯუანშერი, ნიშნავს: „მირიდეთ თავსა მგლისასა“ და მის მიერ სახელ -ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ.“

ასე რომ, ვახტანგისათვის ზეწოდება „გორგასალი“ 460 წელს შეურქმევიათ ირანელებს. ქართლში შემოჭრილ ირანელებთან ბრძოლა, როგორც ჯუანშერი წერს, ოთხ თვეს გაგრძელებულა. შაპის ლაშქარმა არსებით წარმატებას ვერ მიაღწია. ამიტომ, ბრძოლები მცხეთის მისადგომებთან ალბათ კიდევ დიდხასს გაგრძელდებოდა, ვახტანგთან ბიზანტიის დესპანი რომ არ მოსულიყო. დესპანმა ვახტანგს მოართვა იმპერატორის ძღვენი და წერილი, რომლითაც იგი ვახტანგს ატყობინებდა: „შევექეც წყობასა ხაკანისასა, და მომივლენია შენდა თოხმოცი ათასი მხედარი, და მომინერია ლეონისდა: უკეთუ გიხმდეს შენ ლაშქარი, წინაშე შენსა არს მელიტენითგან ვიდრე ლამედმდე და მოღმართ ვიდრე კარნუქადაგამდე, და მიბრძანებია ლეონისდა წინაშე შენსა იყოს.“ ამ წერილის მოტანისას ბიზანტიელთა ლაშქარი უკვე ჯავახეთს ყოფილა მოსული, ამიტომ, ირანის შაპმა უკეთესად ჩათვალა ვახტანგს დაზავებოდა.

ზავის დადების ერთ-ერთ პირობად ვახტანგმა შაპს მოსთხოვა, ამის შემდეგ ირანელები ქართლის რელიგიურ საქმეებში აღარ ჩარეულიყვნენ. თუ ამ პირობას შეასრულებდა, ვახტანგი ჰპირდებოდა, რომ შაპს იგი „მამად და უფლად“ მიიჩნევდა.

ვახტანგმა შაპს ცოლად მისცა თავისი დაი მირანდუტი, შემდეგ მოიყვანა თვისი 5 ნლის დაჩი, დაადგა გვირვინი და დატოვა ქართლში მეფედ.

463 წელს ირანელებმა დაამარცხეს ალბანელები, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში ებრძოდნენ მათ და მეფობა გააუქმეს ალბანეთში. სომხეთში მეფობის გაუქმების შემდეგ ეს ირანის მეორე დიდი გამარჯვება იყო ამიერკავკასიაში.

ამ დროისათვის ქართლში ისევ მზადდება აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ. აჯანყების დაწყების წინ ვახტანგმა იერიში მიიტანა თავის მონინააღმდეგ ეკართლის დიდებულებზე. პირველ ყოვლისა, მან თავის მონინააღმდეგეთა ერთ-ერთი ბელადი ვარსექენ.

პიტიაში ჩამოიშორა 482 წელს. ლაზარ ფარცეცი გადმოგვცემს: „ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბდებში ვაზგენი მეფე პერიზის ოცდამეხუთე წელს.“

ქრისტიანობის უარმყოფელი, გამაზდეანებული ვარსექნის მოკვლით ვახტანგმა მეტი იდეური სიცხოველე შემატა თავის ბრძოლას ცეცხლთაყვანისმცემელ ირანელებთან. ამით ხაზი ესმებოდა იმას, რომ ბრძოლა წარმოებდა არა მარტო პოლიტიკური თავისუფლებისათვის, არამედ სარწმუნოებისთვისაც.

აჯანყება ფაქტიურად ვარსექნის მოკვლით დაიწყო. აჯანყებისათვის დრო კარგად იყო შერჩეული: ირანს ძალიან გართულებული ჰქონდა მდგომარეობა შუა აზიაში, ანტიირანული ანაჯყება უკვე დაწყებული იყო ალბანეთში და სომხეთშიც მცირე ბიძგსლა ელოდა, რათა თვითონაც აელო ხელში იარაღი. ამას ემატებოდა ისიც, რომ ირანელებს ამიერკავკასიაში მცირე ჯარები ჰყოლიათ, რადგან ისინი აღმოსავლეთში ჰყავდათ გაყვანილი.

ცნობამ ვახტანგის აჯანყებაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სომებს თავკაცებში, რომელებიც იმ დროს ირანელების მიერ ძალით იყვნენ გაყვანილი აჯანყებულ ალბანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. განსაკუთრებით დიდ იმედს აძლევდა სომხებს ცნობა ვახტანგის ჰუნებთან კავშირისა და თვით ვახტანგის პიროვნება. სომხებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ აჯანყებული ქართველებისათვის.

აჯანყების პირველ წელს ვახტანგს, ეტყობა, მოუხერხებია ირანელების ქართლიდან განდევნა. მიუხედავად ამ წარმატებისა, აჯანყებულთა მდგომარეობა მძიმე იყო, რადგან ვახტანგმა ვერასგზით ვერ მიიღო ჰუნთაგან შეპირებული ჯარი. მას მხოლოდ რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი რაზმი მიუვიდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არავითარი დახმარების იმედი არ იყო ბიზანტიელებისაგან, რომელთაც თვითონაც დიდი გაჭირვება ადგათ ამ დროს, ცხადია, ჰუნებთან დადებული პირობის ჩამლა ფაქტიურად მნიშვნელოვანნილად წყვეტდა აჯანყების ბედს.

483 წელს ირანელებმა უფრო მტკიცედ მოჰკიდეს ხელი აჯანყებასთან ბრძოლის საქმეს. გაზაფხულზე ქართლსა და სომხეთში ორი დიდი ლაშქარი გამოგზავნეს. პირველს სარდლობდა მიპრანი, მეორეს - ატრევერსეპი, ირანის ფუშტიპანსალარი (მონასპის უფროსი). ვახტანგმა დაინახა, რომ ირანელებს ვერ გაუმკლავდებოდა და თავი შეაფარა სომხეთის მთებს ქართლის საზღვრის მახლობლად. იქიდან მან დახმარება სთხოვა სომხებს, თან იტყობინებოდა, რომ სულ ახლო მომავალში ელოდა ჰუნების მაშელი ჯარების მოსვლასაც. ამ დროისათვის სომხებს მნიშვნელოვანი წარმატება მოუპოვებიათ, სასტიკად დაუმარცხებით ირანელები ნერს ჰაპატის ბრძოლაში. ვახტანგის დესპანის მისვლისთანავე აჯანყებულ სომხეთა სარდალი ვაპან მამიკონიანი სომხეთა მთელი ჯარით სასწრაფოდ გაემართა ვახტანგის დასახმარებლად და კანგარის მთებში დაბანაკდა.

ვახტანგი სწრაფი და გაბედული მოქმედების მომხრე იყო. მას ეშინოდა, რომ ირანელები ქართლის შიდა რაიონებში შემოიჭრებოდნენ და იქაურობას

აახორებდნენ. ამიტომ ცდილობდა დაეყოლიებინა სომხები, ბარში ჩასულიყვნენ და ირანელებს შებრძოლებოდნენ, თუნდაც ჰუნების მოსვლამდე. ვაპან მამიკონიანი და სხვა სომები სარდლები კი ფრთხილობდნენ. ეტყობა, მათ აფიქრებდათ ირანელთა ჯარის მრავალრიცხოვანება. ჰუნების გარეშე ბრძოლის დაწყება სომხებს მიზანშენონილად არ მიაჩნდათ და უმჯობესად თვლიდნენ მთებში დარჩენას, სადაც ირანელები ვერ გამოიყენებდნენ თავის რიცხობრივ უპირატესობას. აჯანყებულ სომებთა ჯარში არ იყო ერთიანობა, მრავალი შიშით მონაწილეობდა აჯანყებაში და პირველსავე შემთხვევაში მზად იყო აჯანყებისათვის ეღალატა და ირანელთა მხარეზე გადასულიყო. საყურადღებოა, რომ იმ თათბირზე, რომელზედაც სომხებს უნდა გადაეწყვიტათ, დაეჭირათ თუ არა მხარი აჯანყებული ქართლისათვის, ერთადერთი კაცი, რომელიც ამის წინააღმდეგ გამოვიდა, იყო თვით ვაპან მამიკონიანი, აჯანყებულთა მომავალი სარდალი და ბელადი. თავისი აზრის დასამტკიცებლად ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად ვაპანს მოჰყავდა ის, რომ მისი სიტყვით, სომხებს შორის არ იყო ერთიანობა და მოსალოდნელი იყო ღალატი. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ვაპანის შიში არ იყო მოკლებული რეალურ საფუძველს.

ვახტანგი ყოველ ღონის სმარიბდა, რათა დაეწმუნებინა სომხები მისი გეგმა მიეღოთ და ბარში ჩასულიყვნენ. ლაზარ პარფეცის გადმოცემით, ის აშკარა ტყუილზეც კი მიდიოდა სომხების გასამხნევებლად, ვითომ ჰუნები უკვე მოვიდნენო.

ბოლოს და ბოლოს ვახტანგმა თავისი გაიტანა. მიუხედავად ზაფხულის სიცხისა და ზოგიერთ სომებს ხახარართა წინააღმდეგობისა, აჯანყებულთა ლაშქარი ჭარმანიანის ველზე ჩასულა და მტკვრის ნაპირას დაბანაკებულა. რამდენიმე დღის შემდეგ, იქვე, ოლონდ მტკვრის გაღმა დაბანაკდა ირანელთა ლაშქარიც. დამით სომებთა ბანაკიდან მრავალი მოღალატე საიდუმლოდ დაკავშირებია ირანელებს. ისინი უთვლიდნენ მტერს, ჩვენი ნებით როდი მოვსულვართ, ვაპანმა ძალით მოგვიყვანა, მაგრამ ბრძოლის ველს მივატოვებთ და სხვებსაც თან გავიყოლებთო.

მეორე დღეს სომებ-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ბრძოლის ველზე გავიდა. ვახტანგი უკანასკნელ წუთამდე ამხნევებდა და არწმუნებდა სომებს სარდლებს, გამარჯვება ჰუნების გარეშეც შეიძლება. მაგრამ, თუმცა სომებმა სარდლებმა ჯარი საბრძოლოდ განალაგეს, ვახტანგმა მაინც ვერ შეძლო მათი დარწმუნება. ცხადია, ასეთი მერყეობა, რითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული, უარყოფით გავლენას მოახდენდა ბრძოლის შედეგზე.

ქართველთა ლაშქარი ვახტანგის მეთაურობით მარცხენა ფრთას შეადგენდა. ცენტრში და მარჯვენა ფრთაზე სომხები იდგნენ. ვაპან მამიკონიანმა, რომელიც ცენტრს სარდლობდა, გაბედულად შეუტია მტერს, დიდი ზიანი მიაყენა მას და უკან დაახვინა ისე, რომ ირანელებს მტკვარზე გადასვლაც კი მოუხდა. მაგრამ ამ დროს მოღალატეებმა თავისი დაპირება შეასრულებს, მიატოვეს ბრძოლის ველი, არევდარევა შეიტანეს მებრძოლთა რიგებში და ბოლოს მთელი ლაშქარი შედრეკა და გაიქცა. ირანელები დაედევნენ გაეცემულებს, ბევრი დახოცეს, ბევრიც ტყვედ ჩაიგდეს, მაგრამ თავისი გამარჯვება მაინც ვერ მი-

იყვანეს ბოლომდე, რადგან მათი სარდალი მიჰრანი იმავე წლის სექტემბერში ირანში გაიწვიეს.

484 წელს, გაზაფხულზე, სომხეთში დიდი ლაშერით შევიდა ზარმიპრ ჰაზარავუხტი. ბასიანში მყოფ ჰაზარავუხტს მიუვიდა შაპის ბრძანება, გადასულიყო ქართლში, რათა „ქართლის მეცე ვახტანგი ან შეეპურა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან განედევნა.“ თვით ირანის შაპი პეროზი კი ჰეფთალებზე საომრად წავიდა.

ჰაზარავუხტი გადავიდა ქართლში, სადაც შეკრიბა ადგილობრივი დიდებულები, რომლებიც თავიდანვე მხარს არ უჭერდნენ ვახტანგს. მათ შეუერთდნენ ისინიც, ვინც გორგასალს შემდგომში განუდგნენ. ჰაზარავუხტმა დიდი წყალობა აღუთქავ ყველას და მათგან რაზმიც კი შეადგინა. ვახტანგმა თავი შეაფარა ეგრისს.

ამ დროს ირანიდან მოვიდა პეროზისა და ირანელთა ჯარის დაღუპვის ამბავი. შეშინებულმა ჰაზარავუხტმა ქართლში დარჩენა ველარ გაბედა და სასწრაფოდ ირანში გაბრუნდა.

ირანელები უაღრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამან აიძულა ისინი მთელ რიგ მნიშვნელოვან დათმობაზე ნასულიყვნენ. ჩვენ არა გვაქვს ცნობები, თუ რაში გამოიხატებოდა ეს ქართლის მიმართ, სამაგიეროდ, კარგად ვიცით, რას მიაღწიეს აჯანყებულებმა სომხეთსა და ალბანეთში. აჯანყებულ სომეხთა მოთხოვნით, ირანელებმა პირობა დადეს შეეწყვიტათ ქრისტიანობის დევნა, არ დაერღვიათ ადგილობრივი ტრადიციები და მნიშვნელოვანი საქმეები თვითონ შაპს გაერჩია. ირანელებმა გამოაცხადეს, რომ ისინი არ ადანაშაულებდნენ აჯანყებულებს, რადგან აჯანყება თვით პეროზის ძალძომრეობამ გამოიწვია. შემდგომ, 485 წელს, აჯანყებულთა მეთაური ვაპან მამიკონიანი სომხეთის მარზბანად დანიშნეს. ირანელები ალბანეთის წინაშეც ნასულან დათმობაზე. კერძოდ, იქ მათ მეფობა აღუდგენიათ. საინტერესოა, რომ ალბანეთში გამეფებული ვაჩაკანი ისევ დაბრუნებია ქრისტიანობას, რომელიც ადრე ირანელთა ძალდატანებით უარუყვია.

უეჭველია, აჯანყებას დადებითი შედეგები ქართლისთვისაც უნდა მოეტანა. ამდენად, თუმცა ვახტანგმა ვერ შეძლო საბოლოოდ გაეთავისუფლებინა ქართლი ირანული უდლისაგან, მაგრამ მისმა აჯანყებული დაბრუნების შედეგები და მისურვის გადასახმავლი უნდა მოეტანა.

ბამ ნანილობრივ მაინც მიაღწია მიზანს. სამუხხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია იმის ჩვენება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს.

საფიქრებელია, რომ ვახტანგ გორგასალი ამის შემდეგაც განაგრძობდა ამა თუ იმ ფორმით ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ. ძველი ქართული წყაროების თანახმად, იგი ბოლოს და ბოლოს შეენირა კიდევ ამ ბრძოლას. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ახლად გამეფებულმა ირანის შაპმა ბიზანტიაზე გალაშერება გადაწყვიტა. მან შეუთვალა ვახტანგს წინ წარსდღოლოდა ირანელთა ლაშეარს. ვახტანგმა უარი განაცხადა და „თქუა ესრეთ: „უთხარით მეფესა ხუასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შეედ საბერძნეთად.“ მართლაც, ირანელებმა გამოიღაშერეს ქართლზე, შემუსრეს რიგი ქალაქებისა და იორზე დაიბანაკეს. განთიადისას ვახტანგი დაესხა მტრის ბახაკს, მოკლა შაპის ძე, მაგრამ თვითონაც დაიჭრა, „სპარსმა ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისასა.“ მართალია, ირანელები დამარცხდნენ, მაგრამ „დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეეწყვიდ იყო ისარი ფირტუად. და წარვიდა უჯარმოს“. ირანელებმა ისარგებლეს ვახტანგის ავადმყოფობით და ააოხრეს ქართლი. ბერძნებსა და ირანელებს შორის მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიც ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა. ვახტანგი ამ ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა.

ახლა ისევ V საუკუნის ბოლო პერიოდის მიმოხილვას დავუბრუნდეთ. ირანში პეროზის შემდეგ შაპანშაპის ტახტზე აღმოჩნდა მისი ძმა ვალარში (484-488). მას არ გააჩნდა ისეთი დიდი საყდენი, როგორიც იყო არმია და სათამაშოდ გადაიქცა დიდებულთა ხელში. განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდნენ საქასთანის მმართველი ზარმიხრი და რეის მმართველი შაბური. ამ ორმა პიროვნებამ დიდი როლი ითამაშა ტახტის მეკვიდრეობაზე, ზარმიხრი ვალარშის მეფობის ბოლომდე სახელმწიფო საქმეთა მმართველად დარჩა.

ვალარშმა ზავი დადო სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის დიდებულებთან და მისცა მათ ამ ქვეწების ავტონომიის გარანტია, აგრეთვე ქრისტიანული (მონოფიზიტური) სასულიერო ნოდების უფლებები და პრივილეგიები. მანვე ცნო ქრისტიანული ეკლესია ნესტორიანული ფორმით თვით ირანში.

.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა; „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბილისი, 1955
2. ლაზარ პარფეცის ცნობები საქართველოს შესახებ; ლ. ჯანაშია, თბილისი 1962 ლიტერატურა:
1. ივანე ჯავახიშვილი; „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I; თბილისი 1979
2. პავლე ინგოროვა, თხზულებათა კრებული, ტ IV, თბილისი 1978
3. საქართველოს ისტორიის ნაკვევები; ტ II; თბილისი 1973
4. ვ. გოილაძე; ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბილისი 1991
5. . Н. В. Пигуловская, А.Ю. Якубовский; И. П. Петрушевский, А. В. Строева, Л. М. Беленицкий. “История Ирана с древнейших времен до конца XVIII века”, Ленинград, 1958
6. “История стран зарубежной Азии в средние века”, Москва 1970

რეზიუმე

V საუკუნე მნიშვნელოვანი ეპოქაა კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ეს არის ეპოქა ნაციონალური ომებისა ირანისა და კავკასიის ქვეყნებს შორის. ირანის იმპერია ამ ხანაში შემოტევას ანარმონებდა კავკასიაზე. ამ უსწორო და მწვავე ეპიზოდებით აღსავსე ბრძოლაში პირველად დაეცა სომხეთი. V საუკუნის პირველ ნახევარში ირანელებმა მოსპეს მეფობა სომხეთში და სომხეთის ინკორპორაცია მოახდინეს. ამ დროიდან შემოტევა ირანისა საქართველოზე ძლიერდება. V საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნების (ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის) ურთიერთობის ისტორიაში. ამ დროიდან ირანმა დაიწყო ახალი, მეტად აქტიური და აგრესიული პოლიტიკის გატარება აღნიშნული ქვეყნების მიმართ. ამჯერად ირანელთა მიზანი იყო სავსებით მოესპოთ ის შინაგანი დამოუკიდებლობა, რომელიც შერჩენოდა მათ ქვემევრდომ ამიერკავკასიის ქვეყნებს და გადაექციათ ისინი ირანის რიგით პროვინციებად. ამ მიზნის მისაღწევად ირანელებმა გადაწყვიტეს ამ ქვეყნების იზოლაცია არაირანული სამყაროსაგან, მათი კულტურის მოსპობა და მოსახლეობის სრული ასიმილაცია. ამ დროს ქართლის სამეფო ტახტზე ზის ვახტანგ გორგასალი, გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ვახტანგმა ვერ შეძლო საბოლოოდ გაეთავისუფლებინა ქართლი ირანული ულლისაგან, მაგრამ მისმა აჯანყებამ ნაწილობრივ მაინც მიაღწია მიზანს. სამნუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია იმის ჩვენება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს. საფიქრებელია, რომ ვახტანგ გორგასალი ამის შემდეგაც განაგრძობდა ამა თუ იმ ფორმით ბრძოლას ირანელების ნინააღმდეგ. ძველი ქართული წყაროების თანახმად, იგი ბოლოს და ბოლოს შეეწირა კიდეც ამ ბრძოლას.

RESUME

Fifth century is important in Caucasian peoples' lives. This is the era of national wars between Iran and the Caucasus countries. In this era Empire of Iran attacked the Caucasus. During this severe and wrong fight first fell Armenia. In the Fifth century Iranians destroyed the reign of Armenia and incorporated it. Since then, the attack on Georgia from Iran had been intensified. A new era began between Iran and Caucasus countries (Kartli, Armenia and Albania) in 40s, fifth century. Since that time Iran has launched a new, more active and aggressive policy against these countries.

Yet the goal was to completely annihilate Iran's internal independence, that had it's subordinate Caucasus countries. Their aim was to transfer those countries to provinces. The Iranians decided to isolate these countries from non iranian world, to destroy their culture and completely assimilate the population. At this time the king was Vakhtang Gorgasali, famous political and military figure. Vakhtang was not able to release Kartli from Iran, however his mutiny partially was succeeded. Unfortunately, we can not show where it was reflected. Afterwards, Vakhtang Gorgasali continued to fight against Iranians. According to Georgian sources, finally he died in this struggle.



მაროკოს პრიზისი პირველი მსოფლიო ომის ნინი

ვაჟა ჩოჩია

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

პირველი მსოფლიო ომის ნინ გერმანია ნახევრად აბსოლუტურ მონარქიას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ეკონომიკაში წამყვან როლს ბურჟუაზია ასრულებდა, მინათმფლობელი არისტოკრატიის პოლიტიკური ბატონობა კვლავინდებურად უცვლელი რჩებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის არსებული პოლიტიკური ბლოკი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც ქვეყნის საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში. გერმანიის იმპერიის მმართველი წრეების გამომწვევი მოქმედება ხელს უწყობდა ქვეყნის იზოლაციას საერთაშორისო ასპარეზზე. ამის მთავარი მიზეზი იყო ბერლინის პოლიტიკა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც გერმანია წარმატებას ვერ აღწევდა დიპლომატიის მეშვეობით, საკითხების გადაწყვეტას იარაღისა და შანტაჟის საშუალებით ცდილობდა.

გერმანიის მმართველი წრეების მისწრაფებებს საფუძვლად ედო ექსპანსიონიზმის და საერთაშორისო კონფლიქტების პროვოცირების პოლიტიკა, რაც კარგად გამოჩნდა პირველი მსოფლიო ომის ნინ, კერძოდ, 1911 წლის მაროკოს მეორე კრიზისის დროს. ბერლინში გადაწყვიტეს შეემონებინათ ანტანტის სიმტკიცე და თუ შეძლებდნენ უთანხმოება შეეტანათ მის რიგებში, რათა დაესუსტებინათ ის მოახლოებული დიდი კონფლიქტის მოლლოდინში. მოვლენების ასეთი შესაძლო განვითარება ხელს შეუწყობდა ბერლინს გამოსულიყო პოლიტიკური იზოლაციის მდგომარეობიდან, რომელშიც ის აღმოჩნდა ჯერ კიდევ მაროკოს პირველი კრიზისის შედეგად, რაც დაადასტურა 1905 წლის ალხესირასის კონფერენციამ (იხ. 1: 232-265). გერმანიის რეაქციული პროპაგანდისტული აპარატი, განსაკუთრებით კი პანგერმანული პრესა, ქებადიდებას ასხამდა იმპერატორ ვილჰელმ II საგრეო-პოლიტიკურ ნაბიჯებს და მიუთითებდა, რომ ისინი შეესაბამებოდნენ გერმანიის ეროვნულ ინტერესებს.

გერმანიის მძიმე მრეწველობის მაგნატები ყველანაირად ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ სასარგებლო წიაღისეული, რომლითაც მდიდარი იყო მაროკო. ბერლინს მაროკო სტრატეგიული თვალსაზრისითაც იზიდავდა, რადგან ის ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის გზაჯვარედინზე მდებარეობდა. თავის მხრივ, დიდი სახელმწიფოებიდან - საფრანგეთი და ინგლისი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ არ დაექვათ ბერლინის შესაძლო ექსპანსია მაროკოში. პარიზში მზად იყვნენ ყოველმხრივ შეეშალათ ხელი ბერლინის მცდელობისთვის-დამკვიდრებულიყო მაროკოში, რადგან თვითონ სურდათ მაროკოს ხელში ჩაგდება. მაროკოს ატლანტიკურ სანაპიროზე გერმანიის დამკვიდრებას ლონდონიც ენინააღმდეგებოდა როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური მოსაზრებიდან გამოძინარე, მით უმეტეს, რომ გერმანიაში მიმდინარე

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა, ისედაც საფრთხეს უქმნიდა ლონდონს ზღვებზე მონოპოლიური ბატონობის შენარჩუნებაში (12: 221).

გერმანიის სამთო მრეწველობის მოთხოვნილებებს ვერ აკამაყოფილებდა ლორენის მადანი და მთავრობის ხელშეწყობით, მსხვილმა მრეწველებმა-ძმებმა მანესმანებმა შეძლეს მაროკოს სულთნის მოსყიდვა და 20 ათასი ფრანგული ფრანგის საფასურად, სულთანმა მანესმანებს მანის საბადოები გადასცა (10: 18). პარიზში ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მოვლენების განვითარებას. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საფრანგეთის მმართველი წრეები 1911 წლის დასაწყისში შეუდგნენ მზადებას მთელი მაროკოს დასაპყრობად. ამას ხელს უწყობდა მაროკოში ბერბერების ტომის აჯანყება სულთნის წინააღმდეგ (2: 187). შეშინებულმა სულთანმა სამხედრო დახმარება სთხოვა პარიზს, რასაც სწრაფად გამოეხმაურნენ და დიდი სამხედრო შენართი გააგზავნეს მაროკოში, ევროპელი მოსახლეობის დაცვის და წესრიგის აღდგენის საბაბით. პარიზში ასეთმა ნაბიჯება ბერლინის აღშფოთება გამოიწვია, რასაც ტომის აძლევდა რეაქციული პრესა და საპასუხო ზომების მიღებას მოითხოვდა (4: 441).

ფრანგები სწრაფად მოქმედებდნენ, დაამარცხეს აჯანყებულები და გადაწყვიტეს დედაქალაქ ფეცის დაკავება, რის შესახებაც გააფრთხილეს გერმანიის მთავრობა 1911 წლის აპრილში. შექმნილ სიტუაციაში, ბერლინმა დიპლომატიას მიმართა და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კიდერლენ-ვესტერის მეშვეობით განაცხადა, რომ ბერლინი წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ ფრანგებს დაეკავებინათ მაროკო თუ გერმანია მიიღებდა თუნდაც ერთ ნავსადგურს მაინც მაროკოში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე (მაგ., აგადირ) მისი მომიჯნავე ტერიტორიით. ამ წინადადების მიღება არსებითად არ ცვლიდა შექმნილ სიტუაციას, მაგრამ პარიზში უარი თქვეს მის მიღებაზე და ბერლინს შესთავაზეს სხვა კომპენსაციაზე შეთანხმება. პარიზში ამ ნაბიჯება საშუალება მისცა ბერლინს სიტუაცია გაემწვავებინა. კიდერლენ-ვესტერმა ურჩია კანცლერ ბეტმან-პოლვეგს და იმპერატრს, ენერგიული მოქმედებით აეჭულებინათ პარიზი დათმობაზე წასულიყო (11: 193). კიდერლენ-ვესტერმა თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბა ვილჰელმ II-სადმი წარდგენილ 1911 წლის 3 მაისის მემორანულმში: "ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ... მომავალი მოლაპარაკებისათვის ისეთი ობიექტი, რომელიც აიძულებს ფრანგებს კომპენსაციაზე დათანხმდნენ ... ჩვენ გვაქვს დიდი გერმანული ფირმები მოგადორსა და აგადირში. გერმანულ გემებს შეუძლიათ სენებულ ნავსადგურებში შესვლა ამ ფირმების დასაცავად.

...ასეთ პირობებში, ჩვენ შეგვეძლება მშვიდად ვა-დევნოთ თვალი მაროკოში მოვლენების შემდგომ მს-ვლელობას და დაველოდოთ ხომ არ შემოგვთავაზებს

საფრანგეთი შესაფერის კომპენსაციას, რის სანაცვლოდაც ჩვენ დავტოვებთ ორივე ნავსადგურს” (16: დ. 29, № 10549, ქ. 105-107).

1911 წლის აპრილში რურის მძიმე მრეწველობის მაგნატების გაზეთი ”რაინიშ-ვესტფელიშე ცაიტუნგ” მაროკოში შექმნილი მდგომარეობის გამო სტატიაში ”მოქმედება, მოქმედება!” წერდა, რომ ფრანგებმა პატივი უნდა სცენ ”ხელშეკრულებებს და თუ მათ არ შეუძლიათ ან არ სურთ ეს გააკეთონ, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ თანაბარ უფლებებს, მოვითხოვთ მაროკოს გაყოფას გერმანიის იმპერიასა და საფრანგეთს შორის. თუ ამას საფრანგეთი სერიოზულად გაუწევს ნინააღმდეგობას, მაშინ ის იქნება პასუხისმგებელი ომისათვის” (ციტ. 4: 448-449).

1911 წლის მაისის ბოლოს ევროპულ გაზეთებში გამოჩნდა ცნობები, რომ გერმანია იძულებული იქნებოდა დაკმაყოფილებულიყო მეორეხარისხვანი კოლონიებიდან, მცირეოდენი, უვარებისი ტერიტორიების კომპენსაციით. ამ ცნობებმა პანგერმანელების განსაკუთრებული გააფთორება გამოიწვია. პანგერმანული პრესა მკვეთრად აკრიტიკებდა საგარეო საქმეთა უწყების სახელმწიფო მდივნის პოლიტიკას მაროკოს საკითხში. ასეთ სიტუაციაში, გერმანიის მთავრობამ, იმპერატორ ვილჰელმ II-ს თანხმობით, მიიღო გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა კიდერლნვესტერის მემორანდუმში დასახული გეგმა.

21 მაისს საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს დედაქალაქი ფეცი, რამაც ბერლინს საშუალება მისცა აგადირში სამხედრო გემი გაეგზავნა. 1 ივლისს კიდერლენ-ვესტერის თანაშემწემ ციმერმანმა პანგერმანელების ხელმძღვანელს ჰ. კლასს კონფიდენციალურად აცნობა: ”დღეს, ახლა, თხუთმეტიოდე წუთში ბომბი გასკდება” (17: 120). ეს ”ბომბი” აღმოჩნდა ქვემეხიანი ხომალდი ”პანტერა”, რომელიც სამხრეთ აფრიკიდან ბრუნდებოდა. ბრძანების თანახმად, ”პანტერა” 1 ივლისს აგადირის ნავსადგურში შევიდა და ღუზა ჩაუშვა (16: Bd. 29, № 10576, S. 152. Fubisnote). ალხესირასის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აგადირი დასხული იყო ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის. აქედან გამოდინარე, მთელი მსოფლიო ბერლინის ასეთ მოქმედებას შეხვდა როგორც პროვოკაციას (16: დ. 29, № 10639, ქ. 228).

პანგერმანელების ყველა გაზეთი მიესალმა ამ ფაქტს. ”რაინიშ-ვესტფელიშე ცაიტუნგ”-მა კი პირველ გვერდზე განათავსა სტატია სათაურით: ”ვაშა! აი ეს გმირობაა!” გაზეთი მოითხოვდა მაროკოს გაყოფას, ნინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთს ომის დაწყებით ემუქრებოდა: ”ახლა აგადირში რეიდზე გერმანული სამხედრო გემი დგას. ფრანგებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა შეგვითანხმდნენ მაროკოს გაყოფის შესახებ. თუ ისინი ამას არ მოისურვებენ, მაშინ ”პანტერას” შეუძლია შესარულოს საკმაოდ ცნობილი ”ემსის დეპეშის” მსგავსი როლი”-ნერდა სტატიის ავტორი (13: 494). ბერლინის ნაბიჯებს მაროკში ასევე მიესალმებოდნენ გერმანიის მძიმე მრეწველობის მაგნატები. ერთი მხრივ, მთავრობის მოქმედება მათ ”ეროვნულ” საქმედ მიაჩნდათ; მეორე მხრივ, ეკონომიკური მოსაზრების გამო, დაინტერესებული იყვნენ მაროკოში დამკვიდრებით (17: 121). ამის მიუხედავად, ბერლინი ძალიან რთულ

მდგომარეობაში აღმოჩნდა და საჭიროდ მიიჩნია თავისი პროვოკაციული მოქმედების გამართლება. ამას ისახავდა მიზნად გერმანელი დიპლომატის მეტერნიხის მიმართვა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი თანაშემწის ნიკოლსონისადმი: ”1866 და 1870 წლებს შორის გაიმარჯვა რა ყველა თავის მტერზე, გერმანია გადაიქცა დიდ ქვეყნად; ამასთანავე, ინგლისმა და დამარცხებულმა საფრანგეთმა მას შემდეგ გაიყვეს მთელი მსოფლიო, გერმანიას კი მისი ნამცეცები ერგო. ახლა შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა გერმანიას შეუძლია განაცხადოს პრეტენზია რაღაც რეალურსა და მიმდევლოვანზე” (8: □□□. 2, T.18, ქ. 1, № 220). ამით მეტერნიხმა არსებითად გამოხატა ინგლის-გერმანიის უთანხმოებათა არსი, რაც თავისითავად უკვე იმას მონმობდა, რომ ომის შემთხვევაში გერმანიასა და საფრანგეთს შორის, ინგლისი ნეიტრალური არ დარჩებოდა. იმის ნაცვლად, რომ ბერლინს დიპლომატიურად ემოქმედა, დააბულობაზე აღებულ კურსს თანმიმდევრულად იცავდა. ამის გამოხატულება იყო ”პანტერას” შეცვლა კრეისერით ”ბერლინი”, რამაც გერმანიის მოქმედებას კიდევ უფრო პროვოკაციული ხასიათი მისცა.

პანგერმანული კავშირის თავმჯდომარე ჰ. კლასი, რომელმაც ეს პოსტი 1908 წელს დაიკავა, აქვეყნებს სპეციალურ ბროშურას ”ვესტ-მარკე დორი!” კლასი ამ ბროშურაში აღნიშნავდა, რომ გერმანიის იმპერიის მონაწილეობის გარეშე მაროკოს საკითხი ვერ გადაწყვებოდა (15: 5) და მოითხოვდა მაროკოს მთელი ატლანტური სანაპიროს დაპყრობას (15: 11). გერმანიის გენერალური შტაბი ფონ მოლტკეს მეთაურობით, საფრანგეთთან ომის დაუყოვნებლივ დაწყების მომხრე იყო (19: 362). ბერლინი მაროკოში არსებული ვითარების შსახებ არავითარ განცხადებას არ აქვეყნებდა და ლოდინის ტაქტიკას ატარებდა. ბერლინში, პირველ რიგში, ლონდონის პოზიცია აინტერესებდათ და რატომდაც მიიჩნევდნენ, რომ მაროკოს კონფლიქტის მიმართ ლონდონი ნეიტრალური დარჩებოდა. ბუნებრივია, ბერლინში არ იცოდნენ, რომ ინგლისის გენერალურმა შტაბმა ჯერ კიდევ 1911 წლის აპრილში შეიმუშავა გეგმა, რომ საჭიროების შემთხვევაში, კონტინენტზე საექსპედიციო არმიას გაეგზავნიდა (14: ვოლ. 7, № 639). ვიდრე ბერლინში სიმართლე არ იცოდნენ, მცდარ დასკვნებს აკეთებდნენ. ამის საფუძველს იძლეოდა ფრანგების მიერ ფეცის ოკუპაციის შემდეგ, ვილჰელმ II-ს ვიზიტი ლონდონში დედოფალ ვიქტორიას ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით, 1911 წლის მაისის შუა რიცხვებში. ამ ღონისძიებაზე ვილჰელმ II მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად მიინვია ინგლისის მეფემ ლორჯ V-მ (1837-1901 წლებში დიდი ბრიტანეთის დედოფალი იყო ვიქტორია). ის იყო როგორც ჯორჯ V-ს ისე ვილჰელმ II-ს ბებია). ინგლისელებმა თავაზიანობა და პატივისცემა გამოხატულის იმპერატორის მიმართ ლონდონში ჩასვლისას. ასეთი დამოკიდებულება ბერლინში ჩათვალეს, როგორც ინგლისის უკმაყოფილების გამოხატვა საფრანგეთის მოქმედებაზე მაროკოში. ამას ადასტურებს კანცლერ ბეტმან-პოლვეგის ჩანაწერი 1911 წლის 21 მაისს. მისი აზრით, ვილჰელმ II-ს თბილი მიღება და პატივისცემის გამოხატულება ხალხის მხრივ, გერმანიასთან დაახლოების სურვილსაც ნიშნავდა (16: Bd. 29, № 10662, S. 120-121). სიტუა-

ციის ასეთი შეფასება ბერლინს შეურიგებელს ხდიდა. ეს კარგად ჩანს ბეტმან-ჰოლვეგის მოხსენებაში იმპერატორისადმი, რომელშიც ის აფიქსირებს კიდერლენ-ვეხტერის მოსაზრებას-”დამაკმაყოფილებელ შედეგებს რომ მივაღწიოთ, ჩვენ უთუოდ მოგვიხდება მკვეთრი პოზიციის დაკავება” (7: 57). ვილჰელმ II ამ მოხსენების არეზე, თავისი შენიშვნის ბოლოს წერდა: ”გარდა ამისა, საჭიროა ჩვენს მოკავშირებს დროულად შევატყობინოთ ამის შესახებ. ისინი თავის მხრივ, შესაძლოა ჩათრეულ იქნენ საქმეში” (7: 57).

ბერლინში მცდარი დასკვნები გააკეთეს ლონდონის პოზიციასთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე ფუჭი ილუზის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ამას ადასტურებდა ინგლისის მთავრობის განცხადება გერმანიის მთავრობისადმი, რომ ”ინგლისი დაინტერესებულია მაროკოს საკითხით, რამდენადაც, თავისი საკუთარი ინტერესები გააჩნია ამ ქვეყანაში, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე გერმანიის ინტერესებია... რომ აგადირში გერმანული ხომალდის გამოჩენა ქმნის ახალ ვითარებას, რომლის მიხედვითაც ინგლის არ შეუძლია საკუთარი მონაწილეობის გარეშე რამე გადაწყვეტილების ცნობა” (8: cep. 2, t. 18, № 167). ლონდონის ამ განცხადებამ ბერლინს იმედები გადაუწურა. იქ დარწმუნდნენ, რომ მწარედ შეცდნენ ინგლისის პოზიციის შფასებისას. ეს იმის შედეგი იყო, რომ გერმანიის დიპლომატია ინგლისთან დაძაბულობის შესუსტებას გადაჭარბებით აფასებდა. საინტერესოა ალინიშნოს, რომ მოგვიანებით ვილჰელმ II თავის მემუარებში ცდილობდა თავი გაემართლებინა და მაროკოს კრიზისის წარმოშობას ბეტმან-ჰოლვეგს და საგარეო საქმეთა უწყებას აბრალებდა (3: 70).

ავსტრია-უნგრეთი და იტალია, გერმანიის მოკავშირები სამთა კავშირის ხაზით, ცდილობდნენ არ ჩარეულიყვნენ კონფლიქტში, რადგანაც უშუალო ინტერესები მაროკოში არ გააჩნდათ. ამასთანავე, ორივე მოკავშირე კარგად ხედავდა, რომ ბერლინის მიერ მოვლენების შემდგომი ესკალაცია აუცილებლად გამოიწვევდა ინგლისის ჩართვას კონფლიქტში საფრანგეთის შეარეზე, რაც სახითაო იქნებოდა ორივე მათგანისთვის. გარკვეულ ეტაპზე, ბერლინი დიპლომატიის მეშვეობით ცდილობდა მაროკოს საკითხი საფრანგეთთან ორმხრივი მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტა, რათა შეძლებისდაგვარად მოეხერხებინა, ინგლისის გვერდის ავლით, აფრიკული სამფლობელოების ხელში ჩაგდება. ეს უდაოდ ზიანს მიაყენებდა ინგლისის ინტერესებს და გააუარესებდა მის ურთიერთობებს საფრანგეთთან. ბერლინი იმედოვნებდა, რომ აიძულებდა საფრანგეთს დათმობაზე წასულიყო, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. საფრანგეთი, თავისი მოკავშირეების იმედით, უკან არ იხევდა. ამასთანავე, 1911 წლის აგვისტოში საფრანგეთის გენერალური შტაბი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ გერმანია მაროკოს გამო საფრანგეთთან ომის პროცესირებას მოახდენდა, იტალია ნეიტრალური დარჩებოდა (8: cep. 2, t. 18, გ. 1, № 372). აქედან გამომდინარე, პარიზი ცდილობდა, რათა ბერლინს ეცნო მისი პროტექტორატი მაროკოზე, სამაგიროდ, კომპენსაციის სახით შესთავაზებდა ტერიტორიას თავისი აფრიკული სამფლობელოებიდან.

შექმნილ სიტუაციაში, ბერლინი იძულებულია განაახლოს მოლაპარაკებები პარიზთან კომპენსა-

ციის შესახებ. ამაზე გავლენა მოახდინა აგრეთვე რუსეთის მიერ დაკავებულმა პოზიციამ (იხ. 9: 77-78). რუსეთი იმ დროს არ იყო მზად მოისათვის და კიდევ რამდენიმე წელი ესაჭიროებოდა, რომ ბრძოლისუნარიანი გამხდარიყო. ამიტომ იყო, რომ პეტერბურგში იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ არ იყო სასურველი კრიზისი გერმანიასა და საფრანგეთს შორის კონფლიქტამდე მისულიყო (18: 109). ბერლინში, საფრანგეთის ელჩ უიულ კამბონთან მოლაპარაკების დროს კიდერლენ-ვეხტერი აცხადებდა, რომ ის იძულებული იყო გაეთვალისწინებინა გერმანიის ”საზოგადოებრივი აზრის” განწყობა და ამიტომ მოითხოვდა საფრანგეთის კონგრესის მთლიანად (16: დ. 29, მ. 10613, შ. 192; 17: შ. 122-123). ეს აშკარად მიუღებელი მოთხოვნა იყო, რაზეც პარიზი არ დათანხმდებოდა. ამის მიუხედავად, კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი, მიზეზებს რომ განმარტავდა, რის გამოც ბერლინმა აშკარად მიუღებელი მოთხოვნები წარუდგინა პარიზს, ვილჰელმ II-ს 1911 წლის 20 ივნისს სწერდა: ”ჩვენ გამოვედით საკუთარი მოთხოვნებით. საჭირო იყო ფრანგებისგან ქედმაღლობის ჩამოცილება, ამიტომ კიდერლენმა კამბონთან საუბარში დაასახელა საფრანგეთის კონგრესის მთლიანად. ეს გაკეთდა განგებ, რათა თავისუფლად ვიმოქმედოთ მოლაპარაკების განახლებისას” (16: Bd. 29, № 10613, S. 192; 18: 112). იმავე დროს, ბერლინში ცდილობდნენ ზუსტად გაეგოთ ლონდონისა და პეტერბურგის პოზიცია, რომ ეს ფაქტორი გამოეყენებინათ პარიზთან მოლაპარაკების დროს. მართალია, მოლაპარაკება ბერლინსა და პარიზს შორის საიდუმლო ხასიათს ატარებდა, მაგრამ ბერლინში ვარაუდობდნენ, რომ ბერლინის მოთხოვნები ცნობილი გახდებოდა საფრანგეთის მოკავშირეებისათვის. მართლაც, ბერლინში არ შემცდარან და როგორც გერმანიის ელჩი ლონდონში მეტერნიხი აცნობებდა ბერლინს, მან ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთან საუბრის საფუძველზე გააკეთა დასკვნა, რომ პარიზის მეშვეობით ინგლისის მთავრობამ კარგად იცოდა მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ ბერლინსა და პარიზს შორის (16: Bd. 29, № 10615, S. 197).

